



რვაენი

ფრეზა

NOTRE DRAPEAU "

832  
1958

დააკისებულია ნოე ჟორდანიას მიერ.

N° 27

Directeur: MICHEL STOUROUA.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ა. ა.—პარიზი, 1958 წლის თებერვალი. ა. ბადრიძე—ახალი კლასი. ისარი—სიმშვილის აჩრდილი. ა. ტატიშვილი—გარღვეული ფრონტი. მ. ბერიშვილი—ერთი წლის თავზე. ლეონტი კლდნტი—ქართველი ერი და თებერვლის გადატრიალება. დ. ხუციშვილი—თავისუფლება და ხელოვნება. აკაკი ტატიშვილი—რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წ. ა. ა.—ვეროპის სოციალისტები და საბჭოთა კავშირი. პ. ს.—ვალეკო ჯუღელის ხსოვნას. ვ. ინჭკირველის და გერ. წიფწივაძის დაკრძალვა. პ. ხარჯველაძე—ვალ. ინჭკირველი. პ. ს.—გერ. წიფწივაძე. მესხბეგლი—კოტე იმნაძე. დ. შარაძე—ძვირფას მეგობრის ხსოვნას. ილ. ხალუკვაძე—ვალ. დოლიძე. და სხ.

პარიზი

თებერვალი

Paris.

1958

## პარიზი, 1958 წლის თებერვალი.

ჩვენ დღეს ისე, როგორც ყოველ წლიურათ, ვიგონებთ 1921 წლის თებერვლის სისხლიან დღეებს, როცა რუსეთის ჯარები საქართველოს შემოესია, აიღო იმის დედა-ქალაქი (25 თებერვალი) და მით თავი მოსჭრა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ არსებობას. სასოებით ვიგონებთ, რომ საქართველო უბრძოლველათ არ დანებებია გარედან მის საზღვრებში შემოჭრილ მტერს და თავისი საუკეთესო შეილების სისხლი დაღვარა ეროვნულ თავისუფლების დასაცავათ; მაგრამ უსწორ-მასწორო ბრძოლაში, მრავალ რიცხოვან მტრის წინააღმდეგ, იგი წაიქცა... მას შემდეგ, ყოველი დღე ახალსა და ახალ საბუთს აძლევს ქართველ ერს იბრძოლოს განთავისუფლებისთვის.

უხეშმა მტერმა მყისვე გადააბა საქართველო რუსეთის იმპერიას (იგი მაშინ კიდევ არ იწოდებოდა «საბჭოთა კავშირით», არამედ რუსეთის ფედერ. ს. ს. რესპუბლიკათ), რომლის ბატონობიდან ქართველმა ერმა სამი წლის წინათ თავი გაინთავისუფლა.

მაშინ პრეზიდენტის იმ საშინელ ბურუსში, მთელ მსოფლიოს რომ მოჰფინეს ბოლშევიკებმა, არც კი სჩნდა ნათლათ, განსაკუთრებით უცხოეთში: იყო ეს მართლა იდეოლოგიური ბრძოლა კომუნისტურ იდეების გავრცელებისთვის, თუ იგი თავდასხმა იყო, გაშიშვლებულ იმპერიალისტურ მოტივებით ასულდგმულებული? ცრუ და ფლიდი განცხადებანი თავდამსხმელ მტრისა ფარავდენ მის ნამდვილ განზრახვებს, უმთავრესად ნივთიერ ხასიათისას. მისი ნამდვილი განზრახვები გასცეს არა «იდეოლოგებმა», — შემდეგ დროთა განმავლობაში იმით რომ ამაყობდენ კიდევ (რადეკებმა, ხაჭაპურიძეებმა, კომუნისტურ პრესამ და სხ.), — არამედ დამშუულ რუსის ჯარებმა დღიდანვე საქართველოს მიწაზე ფეხის დადგმისა. ეს ჯარები, როგორც უწესრიგო ბრბო, შეესია უპირველეს ყოვლისა სანოვაგეს, საკმელ-სასმელს, ტანთსაცმელს და ფეხსაცმელს, ყოველგვარ მოძრავ ქონებას — ყველაფერს, რისი მოხმარება უცებ და იქვე შეიძლებოდა ან დაუყოვნებლივ რუსეთში გადაიგზავნებოდა. საშინელი სურათი იყო, გულშემზარავი. განსვენებული ვლასა მგელაძე, ქართ-

ველ მუშების გულისცემის მესაიდუმლე და იმის დიდებული ტრიბუნი. რომელიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდა, აგვიწერს თავის «მოგონებებში» ამ საშინელ ამბებს: «ღრმა მოხუცებულნი—ამბობს იგი—აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს იგონებდენ»-ო.

ეს არ იყო მაინც პოლიტიკა ჩამოყალიბებული, ეს წმინდა პირწავარდნილი ყაჩაღობა იყო; პოლიტიკა გაზომილი და გათვალისწინებული ამ დარბევას შემდეგ მოყვა. ოკუპანტებმა მოინდომეს აშკარა ყაჩაღობისთვის ვითომ უფრო რიგიანი ფორმა მიეცათ და საქართველოში არსებული სანოვაგე და ნედლი მასალა ვითომ «შეესყიდათ». ამ მიზნით საბჭოთა რუსეთის მმართველობა საქართველოს ფულის ნიშანს დაეპატრონა. ეს უკანასკნელი არ ყოფილა დიდი ღირებულეობის, მაგრამ რუსეთის მაშინდელ ფულთან შედარებით იგი ძვირფასი იყო. ამიტომ, მაშინდელ ღირებულების მიხედვით, ოკუპანტებისთვის საქართველოს ფულის ნიშნითაც ხელმისაწვდომი არ იყო საქართველოში საქონლის შექმნა. ამისთვის ამ ფულს წინასწარ ლახვარი ჩასცეს; ბეჭდეს იგი დაუზოგავათ. ასე, თუ საქართველოს დამოუკიდებლობის მთელ ხანაში (სამი წლის განმავლობაში) ქართული ფულის ნიშანი გამოშვებული იყო სულ რვა მილიარდ მანეთის, ოკუპანტებმა დაბეჭდეს იგი მხოლოდ 1921 წლის განმავლობაში 195 მილიარდის და 1922 წ. 878 მილიარდის! ამნაირად, ქართული ფულის ნიშნის ღირებულება მათ სასტიკათ დასცეს და ამ განიავებულ, უკიდურესობამდის ღირებულებას მოკლებულ ფულის ნიშნით (ხალხი მაინც ამას უფრო ენდობოდა, ვინემ საბჭოთა რუსეთის ფულის ნიშანს) ისინი ვითომ «ყიდულობდენ» ჩვენში,—არსებითად კი უსასყიდლოთ მიქონდათ,— ისეთ ძვირფას საქონელს, როგორც იყო თამბაქო და აბრეშუმში, შალი და ნოხები, ავეჯი და სხვ.... მარგანეცის მარაგს ხომ, როგორც სახელმწიფოს საკუთრებას, ოკუპანტები აშკარათ ყოველივე სასყიდლის გარეშე დაეპატრონენ.

აი ეს იყო უკვე პირველი ნაბიჯი ეკონომიურ პოლიტიკის, გადადგმული ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების მიერ; ეს ის ხომა იყო, ძველათ რომ მიმართავდენ ხოლმე კოლონიებში, ხოლო ახლა უფრო განვითარებულ, თვალსაზრევ ფორმით: საქართველოს, როგორც დაპყრობილ ქვეყანას, წაართვეს უპირველეს ყოვლისა ნიშანი დამოუკიდებლობის, საკუთარი ფულის ნიშანი, უმთავრესი მომწესრიგებელი ეკონომიურ ურთიერთობის და იმის დამოუკიდებლათ წარმოების. მას წავლიჯეს ეს უფლება, თვითონ კი ამ ფულის ნიშანს, დამოუკიდებლობის დროის ემბლემითა და წარწერებით, უსირ-

ცხვილთ ხმარობდენ წლების განმავლობაში თავის საკუთარ ანგარიშების გასასწორებლათ.

ეს არ იკმარეს, რასაკვირელია. ადგილობრივი სიმდიდრეების და მწარმოებელ ძალების ცენტრის მიერ საუკეთესოდ გამოსაყენებლათ, ოკუპანტებმა შეჰქმნეს ახალი ამიერკავკასიის რესპუბლიკა და იქ შეიყვანეს საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ეს იყო მეორე ნაბიჯი ამ ქვეყნების კოლონიებით გადაქცევის, რადგან ეს გაერთიანება მოხდა ადგილობრივ ხალხებთან და ზოგ ადგილობრივ ბოლშევიკებთანაც («უკლონისტები»), შეუთანხმებლათ. მალე «ცენტრი» იძულებული იყო თვითონვე მოესპო ეს თვითნებური ადმინისტრაციული ზომა და აღნიშნული რესპუბლიკები ისევ ცალკე-ცალკე და პირდაპირ საბჭოთა კავშირში შეეყვანა.

საკუთარ კონსტიტუციას, თვით მათ მიერ შეჰქმნილს სახელმწიფოს ძირითად კანონებს და მათ მიერ ვითომ მოცემულ გარანტიებს საბჭოთა კავშირში ისე ატრიალებენ, როგორც მოესურვებათ, ურიგოთ და უპატივცემლოთ. სახლგრებიც კი საქართველოს გასაბჭოებულ რესპუბლიკის რამდენჯელმე გადაჭრეს და გადმოჭრეს ამ 37 წლის განმავლობაში. ამითაც არ დაკმაყოფილდენ: უკანასკნელათ (1936 წ.) გადასინჯულ კონსტიტუციის თანახმათ მთელი ეკონომიური ცხოვრება, შემოსავლის ყველა უმთავრესი წყაროები, სახელმწიფოს და ადგილობრივი მართველობის ბიუჯეტი, მისვლამოსვლის საშვალეებანი, შინაურ აღებ-მიცემობის უდადესი ნაწილი და მთელი საგარეო ვაჭრობა, მომავლის გეგმები ეკონომიურ ცხოვრების განვითარების—ყველაფერი ეს (კონსტიტუციის მუხ. 14) ახალ-ახალ კანონებისა და განკარგულებების საშვალეებით ხელში ჩაიგდეს და ადგილობრივ რესპუბლიკებს ის ჩამოართვეს. ეს უმაღლესი საფეხურია ერების «ცენტრისთვის» დამორჩილების მიზნით. იმის ცხოვრებაში გასატარებლათ კი გაუგონარი ცენტრალიზმია გამეფებული დედამიწის მთელ იმ დიდ სივრცეზე, რომელსაც ახლა «საბჭოთა კავშირი» ეწოდება. ვეროპის რომელ სახელმწიფოთა კოლონიაში თქვენ იპოვით ასეთ უუფლებობას ადგილობრივ მოსახლეობისას და ასეთ ცენტრალიზმს?

და თუ ახლა ეკონომიურ საქმიანობის დეცენტრალიზაციაზე ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირში, ამას ისეთივე მნიშვნელობა ექნება ადგილობრივი ხალხების ცხოვრების გასაუმჯობესებლათ, როგორც «კონსტიტუციით» (მუხ. 17) ადგილობრივ რესპუბლიკებისთვის მინიჭებული «კავშირიდან» ვითომ გასვლის უფლებას, თუ ამას ისინი მოისურვებენ. საბჭოთა კავშირის განვითარების წარსული მაგალითები იმას

30270

გვეუბნება, რომ ყოველ ახალ ცვლილებას იქ არსებულ რეჟიმის გამავრება უდევს საფუძვლათ და არა ხალხებისთვის თავისუფლების მინიჭება. თუ სხვაგან, დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ დაპყრობილ ერებში და კოლონიებში ისეთ ლიბერალურ პოლიტიკას აწარმოებდენ, რომ ეკონომიურათ და კულტურულათ ჩამორჩენილი ხალხები თანდათან ზიარებოდენ უმაღლეს განვითარებას და ისინი თანდათან—მეტროპოლიების სურვილით თუ მათ წინააღმდეგ—დამოუკიდებლათ არსებობის საფეხურამდის ასულიყვენ, თანახმად ერის თვითგამორკვევის პრინციპისა,—საბჭოთა კავშირმა, წინააღმდეგ, თანდათან, წლიდან წლამდის, ისეთი მდგომარეობა შექმნა—კერძოთ ეკონომიური—რომელსაც სახეში აქვს მხოლოდ სრული დამორჩილება დამოუკიდებლათ თუ ნახევრათ დამოუკიდებლათ არსებულ ერებისა.

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ამ 37 წლის განმავლობაში არც ქართველი ერის უფლებრივი მდგომარეობა გაუმჯობესებულა არც პოლიტიკურ, არც სოციალურ, არც კულტურულ სფეროში; თუ გაიზარდა იგი ეკონომიურათ, ან გაიზარდა ტექნიკურ ცოდნის სფეროში, გაიზარდა უმთავრესად იმდენათ, რამდენათ იგი ცენტრალურ მართველობის განზრახვებს ემსახურება, სახელდობ მისი სამხედრო მდგომარეობის გაუმჯობესებას. იზრდება მრეწველობა, მაგრამ უმთავრესად სამხედრო, გაყავთ გზები, მაგრამ უმთავრესად სტრატეგიული ხასიათის, ზეცას სერავს თვითმფრინავები უმთავრესად სამხედრო დანიშნულების, ხდება სამხედრო ძლიერების პარადები და დემონსტრაციები. საქართველოც, როგორც ნაწილი საბჭოთა კავშირის, ჩაბმულია ამ უკანასკნელის საქმიანობაში, ჩათრეულია ეშმაკების იმ ფერხულში, რომლის უკან მზადდება და გროვდება ყოველგან ასაფეთქებელი მასალა, რომლის წარმოდგენაზე ძრწის მთელი კაცობრიობა.

აი რამოგვიტანა ჩვენ 1921 წლის თებერვალმა, აი რატომ ცრემლით სავსე თვალებით იგონებს ქართველი დედა თავისუფალ საქართველოს, რომლის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ არსებობა არავის ემუქრებოდა, თვით ქართველ ერს კინივითიერათ და კულტურულათ მშვიდობიან პირობებში წარმატებას უმზადებდა. ეს უნდა იცოდეს ახალმა თაობამ.

1921 წლის თებერვალში ჩვენში ჩადენილ ძალმომრეობას სხვა ქვეყნებმა იმ დროს საკმარისად ყური არ ათხოვეს, იგი ზოგიერთებს მარტო საქართველოს და რუსეთის საქმეთ მიჩანდათ. 37 წელიწადი გავიდა მას შემდეგ და საბჭოთა კავში-

რი ამ ხნის განმავლობაში ისე გაძლიერდა, რომ იგი თვალს უსწორებს ყველა თავისუფალ ქვეყნებს, დიდებს ისე, როგორც პატარებს. მთელი განათლებული და თავისუფალი კაცობრიობა დიდ საგონებელშია ჩავარდნილი, გამოსავალს დაეძებენ საბჭოთა კავშირის მუდმივი მუქარების თავიდან ასაცილებლათ. დიდი სახელმწიფოების წარმომადგენელთა სიბრძნეზე არის დამოკიდებული დიდი განსაცდელის თავიდან აცილება; ხოლო არა მუდმივი დათმობებით მოძალადეებისთვის, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წარსულში, არამედ სადავო საკითხების მხოლოდ და მხოლოდ უფლებების და სამართლიანობის ნიადაგზე დაყენებით, უფლების და სამართლიანობის საფუძველზე გადაჭრით.

ადამიანის უფლება და ერის თავისუფლება—ლოზუნგია, განათლებულ კაცობრიობის და ყოველგან დემოკრატიის. სადაც და სანამდის ადამიანი უფლება-აყრილია და ერი დამონებული, იქ მშვიდობა ვერ დამყარდება. ამას ამბობს გამოცდილება წარსულის, როგორც შინაურ საქმეებში, ისე სხვებთან დამოკიდებულებაში. ამაში ჩვენ ძალიან ვართ დაინტერესებული, ამას ვიცავდით ამ 37 წლის განმავლობაში და ამას ვიცავთ ახლაც ყოველგან, სადაც ხმა ჩვენი მისწვდება.

პ. პ.

## ახალი კლასი!

«გმირული ხანა კომუნიზმისა უკვე კარგა ხანია წავიდა, ეპოქა დიდი ხელმძღვანელებისა დამთავრდა,—დაიწყო დრო პრაქტიკოსებისა. იშვა ახალი კლასი, მძლავრი ქონებითა და სიძლიერითა, მაგრამ მოკლე იდეიებით. მას არ გააჩნია არავითარი აზრი—ხალხს რომ მიაწოდოს». ასე ათავენს თავის ცნობილ წიგნს იუგოსლავიის კომპარტიის თეორეტიკოსი—დუილასი—დღეს ოთხ კედელს შუა გამომწყვედული.

ბოლშევიზმის იდეური სიკოტრე დღეს არ დაწყებულა. მან შექმნა მძლავრი ტირანიული სახელმწიფო. ცარიზმის სოციალურ-პოლიტიკურ ჩავარის ქვეშ მყოფი მასსები აიყოლია, ათეული წლების მანძილზე ილიუზიებში აცურავა,—ჩაიგდო ხელში ერის ნაციონალური სიმდიდრე, ვაჭრობა-აღებ-მიცემობა, მიწა-წყალი და მას განაგებს მოხელეებით, ადგილობრივ აგენტებით. მართველთა ჯგუფი დისციპლინით შეკრული, თბილ ადგილების შენარჩუნებით დაინტერესებული თავს იყრის კომპარტიის რიგებში,—რომლის სათავეშია კრემლში მოკალათებული პოლიტიკური ფეოდალები. პირ-

ველნი, მეორეთა დასაყრდნობია, უკანასკნელნი პირველთა მფარველია. ერთი მიზნით გამსჭვალულნი—ერთი ინტერესით შეკრული. აი ეს კასტა გაბატონებულთა თავზე აწევს ვეებერთელა ქვეყანას ჯარითა და ტექნიკით შეიარაღებული, აგრძელებს მასსების ექსპლოატაციას. ორას მილიონ მცხოვრებთ—მართავს შვიდ მილიონიან კომპარტიიდან რჩეულნი, საბჭოთა ინტელიგენცია, პარტიის ბობოლები,—ერთ კლასში ჩამოყალიბებულნი, ნივთიერად უზრუნველყოფილნი. თავის დროზე ამ სოციალურ დესპოტიას—სტალინმა შეუქმნა შესაფერი კონსტიტუცია, ჩამოაყალიბა ფორმა მართველობის, უზრუნველყო ახალი კლასის არსებობა. ხოლო ამ ახალ კლასის დროშაზე დარჩა ლოზუნგათ—მშრომელთა და ტვირთმძიმეთა დაცვა. აი ეს სათვალმაქცო ტრალი-კომედია გრძელდება ორმოცი წლის მანძილზე. ახალ, უფლებბრივად და ნივთიერად გაბატონებულ კასტას უპირისპირდება მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი, მშრომელი მასსა,—გაძვალტყავებული განზე მიშვებული, უფლება აყრილი. ამ მოპირდაპირე სოციალურ ბანაკთა შორის შებრძოლება დროს საქმეა; ჯერ-ჯერობით ბრძოლა პასსიურია, გულგრილობა, ხელის ჩაქნევა თუ ერთის მხრივ საშვალებას აძლევს მართველ კლასს ბატონობა შეინარჩუნოს, მეორეს მხრივ მასსების აპატია წინ ეღობება სამეურნეო გეგმთა განხორციელებას, რაც აღიზიანებს პირველს, აფრთხობს მას, უკარგავს მას ხალხის ნდობას. ამით იყო გამოწვეული—რამოდენიმეთ «პოლიტიკურ არტახების» შეშვება, ხალხში ნდობის ძებნა—შიშით გამოწვეული. სტალინის გაწბილება ხოლო სულის მოთქმის და გამაგრების შემდეგ მისი გაცოცხლება და მეთოდების მიღება მოწმობს ძველი ნაცადი გზით სვლას.

ხრუშჩოვის ახალი სამეურნეო სამრეწველო რაიონების შექმნაც ეშმაკეულია და ემსახურება ადგილობრივ კომპარტიის საშვალეობით ცენტრის გაძლიერებას...

ვეროპის ბურჟუაზიას ჰქონდა თავის დროზე პოლიტიკური იდეალი, ფეოდალური ნაშთების გადაშენება, ნორმალური უფლების ნორმათა დამყარება, პიროვნული უფლების უზრუნველყოფა, ახალ საბჭოთა წითელ ბურჟუაზიას არავითარი იდეალი არ ახასიათებს, იგი უპრინციპოა, უიდეოა, მის რიგებშია მშუკლით მფორთხავნი, დიდ-კაცობის მაძიებელნი, პირად სარგებლობისთვის მზრუნავნი, ამის გზა და ხიდეა მლიქვნელობა, კრემლის ბატონების წინაშე მოჩჩილების დამტკიცება. გაბატონებულ კლასს აღარ სჭირდება ახალ-ახალი დოქტრინების ძებნა. იგი კმაყოფილდება ყოველდღიურ მყვირალა ლოზუნგებით... გაბატონებულ კლასს მართლაც სჭირ-

დება დაწყნარებული ცხოვრება, ნაციონალურ ავლა დიდებით გამაგრებულს,—შენაძენის შენარჩუნება.

ბრუშოვმა რამოდენიმედ ამას ალღო აუღო,—ამ კლას დაეყრდნო, ხალო მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა, მსხვერპლი სოციალურ უსამართლობისა, დარჩა განზე ისევ გაყვლევილი და უფლება აყრილი.

არსებითად არაფერი შეცვლილა, ან უკეთ ახალი კლასი კიდევ უფრო გამაგრდა. მას და ხალხს შორის ხიდი დიდი ხანია ჩატეხილია—ხიდი, მისი გამთელება შეუძლებელია, უკანასკნელის რისხვამ უნდა მოშალოს პირველი.—ამის დროც დადგება...

ა. ბადურიძე.

### სიმშობის აჩრდილი!

ტექნიკურ მიღწევების ტალღამ ისევ გააბრუა კაცობრიობა, ისევ გაბერა მოსკოვის ძლიერება, რომ ამ ვეებერთელა ქვეყნის დამშევის კარებზე მისვლა მისთვის შეუძნეველი ხდება. საბჭოთა პრესამ ნელნელა ფარდა ახადა სინამდვილეს და მდგომარეობა ცნობილ 1921 წლის ფიზიკურ კატასტროფას შეადარა. რაშია საქმე? ერთი წლის ცუდ მოსავალს უსათუოდ შეუძლია გამოიწვიოს სასურსათო კრიზისი.—მრავალ მილიონიან ჯარისა და ბიუროკრატიის შენახვამ უსათუოდ შექმნა სიძნელე მცხოვრებთა საერთო გამოკვებისა, მაგრამ ამის ახსნა ხელისუფლებისგან მარტო ბუნების რისხვით—შეუძლებელია, რადგან მრავალი ცნობები იმას მოწმობენ, რომ არც ისეთი ძლიერი გვალვა განუცდია იმ ადგილებს, საიდანაც იკვებებოდა დანარჩენი ნაწილი საბჭოთა კავშირისა. გვალვა არ ყოფილა საერთო მოვლენა ყველა კუთხეებში. ასე რომ ერთის დანაკლისი შეეძლო მეორე კუთხეს შეევსო. მიზეზი უფრო ღრმაა და იგი მარხია მთლიანად საბჭოთა სამეურნეო სისტემაში, მის მიმართ გლეხობის დამოკიდებულებაში, რომელმაც უკანასკნელი მუდმივ საექსპლოატაციო საგნად გაიხადა. ბრუშოვი იჩქარის გააუქმოს ე. წ. ტრაქტორების სადგურები, რომელთა ქონება უნდა შეიძინოს «კოლხოზებმა»; ამით იგი ფიქრობს მათი გულის მოგებას, მათ დაინტერესებას. იგი არ უშინდება დაშორდეს სტალინის დარღვებას: «კოლხოზებს, რომ საკუთრებათ გადაეცეს მანქანები, ისინი უსათუოდ დაშორდებიან სახელმწიფოს, კომუნისტის შენების საქმეს». ბრუშოვმა თუ დაივიწყა ეს რჩევა თავის მასწავლებლის,—იგი ხედავს რომ ორმოცი წლის შემდეგ—

სოფლის მეურნეობის დალაგება შეუძლებელი ხდება. ანარქიზმს გრძელდება. ველარაინ ბედავს დღეს, კვლავინდებურათ ლო-  
ხუნგების სროლას: «გაეასწროთ ამერიკას აგროკულტურა-  
ში». ხრუშჩოვის ფრთა შეჭრილი რეფორმა უშველის კი სა-  
ქმეს, სანამ კომპარტიის დიქტატურის თვალს არ შორდება  
ადგილობრივთა გლეხ-კაცობას, სანამ მის ოფლით ნაშრომს  
დიქტატურა უმოწყალოთ ცარცვავს?..

ხრუშჩოვის მხილება მეურნეობაში შექმნილ ბიუროკრა-  
ტიზმის წინააღმდეგ, მხოლოდ ცინიზმია, რადგან ამ ბიურო-  
კრატიის დაყრდნობის გარეშე მას თვით არ შეუძლია იბატო-  
ნოს. მაშასადამე გამოსავალი მხოლოდ ერთია: სახელმწიფოს  
«ოპეის» სრული მოხსნა, გლეხობის თავისუფალ ინიციატი-  
ვის გზის გახსნა, მათთვის თავისუფლების მინიჭება.

ეს კი ნიშნავს დიქტატურის გადაშენებას. ამას ის ვერ  
ჩაიდენს, მაშასადამე კრიზისი მომავალშიც გაგრძელდება.  
მხოლოდ პოლიტიკური უღლის გადაგდება, თვით დიქტა-  
ტურის გაქრობას შეუძლიან გამოიყვანოს ქვეყანა განსაცდე-  
ლისაგან...

იხარი.

### გარღვეული ფორმები.

დრო იყო სტალინის ხელმა გასუქდა კომინტერნ-პროფ-  
ინტერნი. ადგილობრივ კომპარტიების ხელმძღვანელობა და-  
აყენა მოსკოვის საკარეს პოლიტიკის ხაზზე; მის სამსახურში.  
ათეულ წლების მანძილზე მორჩილება და ერთგულება სუფე-  
ვდა მთელ ხაზზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხრუშჩოვმა თავის  
მასწავლებლის გაწბილება, ხალხის შიშით და მისი გულის  
მოსაგებათ დესტალინიზაციის გზით შესაძლებელი გახდა ნა-  
ციონალურ ერთეულებში კომპარტიის რიგების შერყევა.  
აღმოჩნდა, რომ «საერთო ოჯახში» ყველაფერი დიდი ხა-  
ნია რიგზე არაა. «მონოლიტური» ბლოკის გაბზარულ ნაწი-  
ლების დამალვა შეუძლებელი გახდა. ხრუშჩოვის დესტალი-  
ნიზაციამ ერთი მეორეს დაუპირისპირა ყველა პარტიებში  
უკვე საიქოს გასტუმრებულ სტალინის მომხრე-მოწინააღმ-  
დეგნი. მეორეს მხრივ ათეული წლების მანძილზე სტალინის  
გალმერთებამ და ერთბაშით მისი პიროვნების გაშავებამ და-  
აბნია ბეერნი და ყველგან ათასობით დასტოვეს კომპარტიის  
რიგები.

მოსკოვისგან დაპყრობილ განაპირა ქვეყნებში დესტა-  
ლინიზაციამ კიდევ მეტი ღრმა მოძრაობა გამოიწვია და უნ-  
გრეთის ერისგან დაწყებულ რევოლუციისთვის თვით კომპარ-

ტიის მრავალ წევრმა თუ მონაწილეობა არ მიიღეს, დასტოვეს კი მისი რიგები. ხრუშჩოვი შეშფოთდა, სხვადასხვა ქვეყნებში საიმედო დასაყრდენი ძალის შესუსტებამ საგონებელში ჩაავდო და შეუდგა უკან დახევას, ნელ-ნელა გაცოცხლებას, შინაურ და საგარეო ფრონტში მისი მეთოდების განახლებას. უნგრეთი სისხლში ჩაახჩო, სხვა სატელიტებში ერთის მხრივ მორიგების გზას დაადგა, ამავე დროს ერთგულთ ძებნას და მათი საშუალებით რეპრესიების გაცხოველებას. უცხო კომპარტიებთან შესათანხმებლად მოწვეულ იქნა მოსკოვში თათბირი, რომლის მიზანი სწორედ ზემოხსენებულ აფორიაქებულ მდგომარეობის გამოსწორება იყო, როგორც იდეოლოგიურ ისე ორგანიზაციულ ხაზზე. თათბირმა ნოემბრიდან 22 ნოემბრამდის გასტანა, რაც იმას ნიშნავს რომ შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი შეიქნა მრავალ საკითხზე. და უმთავრესად მოსკოვის ხელმძღვანელ როლის მისაღებად. დაბოლოს მიღწეულ შეთანხმების ნიადაგზე გამოქვეყნებული პირველი დეკლარაცია, მხოლოდ განმეორებაა «სტოგოლმის მანიფესტი»-ს ზავის და მშვიდობიანობის ცხვრის ტყავში გახვეულ მგლისა, გულუპრყვილობა გულის მოსაგებათ და თვალის ასახვევად, ატლანტიკის კავშირის დასანგრევად. ხოლო 12-ის დეკლარაციაში მაინც აღნიშნულია კომუნისტური ბლოკის საჭიროება და რუს კომპარტიის ხელმძღვანელ როლის უპირატესობა.

ყველა მსოფლიო საკითხებში მოსკოვის ხელმძღვანელობის შენარჩუნება. რისთვისაც თითოეული ინსტრუქცია მოსკოვიდან გამოსული სავალდებულო უნდა იქნეს დანარჩენისათვის.

ზოგიერთი ამათგანი და უმთავრესად ხელმძღვანელობისთვის მოსკოვის ფინანსური დახმარება აუცილებელი ხდება, რაც აძლიერებს მოსკოვს.

დეკლარაცია არის საბჭოთა კავშირის სამხედრო და ეკონომიური ხასიათის დემონსტრაცია, რომელსაც ხელს აწერს უცხო პარტიები, რათა ამით საბჭოთა მიღწევები მეტი სიძლიერით იქნეს გამოტანილი. მოსკოვის თათბირზე მიღწეული კომ—ერთობა მხოლოდ მოჩვენებითია. რღვევა დაწყებული კომუნისტურ პარტიებში გრძელდება. ბოლშევიზმის იდეური გაკოტრება თანდათანობით განუკურნებელ სენად ედება—მოსკოვის მიერ დამორჩილებულ კომუნისტურ პარტიებს. ხრუშჩოვის «თეორიები» მის დარღვევას მხოლოდ დააჩქარებს.

ა. ტატიშვილი.

## მათი წლის თავზე!

1957 წელს, მარტში, ქართველი ერი აღზდგა და უსამართლობას წინ აღუდგა.

ნუ თუ არ უნდა დაუსვათ საკითხი ჩვენს თავს, რა მიზეზის გამო. ან რამ აიძულა ქართველი ხალხი, რომ მკერდი ტყვიას მიუშვირა და უჰანკო სისხლი დაღვარა? სჩანს, რომ ერი რალაც დიდი ტრალედიის წინ იდგა და მას წამალი ესაქრობებოდა მიყენებული ჭრილობის მოსაშუშებლად.

განა ხალხმა სისხლი სტალინისათვის დაღვარა, რომლის უღელი კისერზედ ედგა და მისი ბატონობის დასაწყისიდან არა ერთხელ განუწირავს სიცოცხლე მის დასამხვრევად?

რა თქმა უნდა არა, რადგან ის დარწმუნებულია იმაში, რომ ხრუშჩოვმა სტალინი შესცვალა, ხრუშჩოვს სხვა შესცვლის და როგორც ხრუშჩოვი ისე სხვაც სტალინზედ უფრო სტალინელი დარჩება. მათ სტალინის ლეკვიდაციით არაფერი არ დაუკარგავთ და არც არაფერი მიუღიათ.

აქ არც პერსონალურ სიმპატია-ანტიპატიაზე შეიძლება ვიფიქროთ. რადგან ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ უბედურების ძირის შინაარსი ფიზიოლოგიურად შეთანხმებულია და შესამებულია იმ გარემოცვასთან სადაც ის წარმოიშვა, არსებობს და იარსებებს კიდევ სხვადასხვა სახეცვლილ ფორმებში. ლენინის მიერ დადგმული რკინის უღელის დამსხვრევა რეჟიმის შეცვლით ძნელია, რადგან მას ძირი საუკუნეებში აქვს გადგმული და მისი ამოსაძირკვავად საუკუნოვებია საჭირო.

ცხადია, რომ რეჟიმის საკითხი მოძრაობის სათავეში არ ყოფილა, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რამ აიძულა პარტიული და კომკავშირული მასა მოძრაობას გაყოლოდა და სისხლი დაეღვარა?

ეჭვი არაა, რომ ისინი მოძრაობაში აქტიურად იყვენ ჩაბმული და რეჟიმის წინააღმდეგ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ.

მაშ სადაა ძირი იმ ტრალედიისა, რომელიც ქართველ ერს აიძულებს სისხლი დაღვაროს?

აუცილებელია, რომ ბოლშევიკური რეჟიმის მესვეურებმა მოსკოვის საუკუნობრივი გეგმების შესრულება დაიწყო და კავასია საქართველოს ბარბაროსულ გარუსებას შეუდგა.

ქართველი ხალხი, არა შიშით და წინასწარი საფლავის გათხრით გამოვიდა ქუჩაში, არამედ ფაქტების წინაშე გამოტანილი დასკვნებით მივიდენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ერი საფრთხის წინაშეა, მას მუხანათები საფლავს უთხრიან და დაგუბებულმა ბოლშემ გულიდან გადმოხეთქა.

მათ თვალწინ საქართველოს ინტენსიური გარუსება დაიწყო, სასამართლოში საქმის წარმოება რუსულად გახადეს.

სკოლებში რუსულ გაკვეთილთა რიცხვი ერთიოთხად გადიდა, რესპუბლიკის პროკურორად რუსი დაბრძანდა, მალაჩივბზედ ქართული წარწერები რუსულმა შესცვალა, ქუჩებში «გადასასვლელის»-ს მაჩვენებელი რუსულმა «პერეხოდ»-მ დაიკავა. სკოლების სახელმძღვანელოები რუსმა ავტორებმა მიისაკუთრა. აფხაზური «ანბანი» რუსულმა «ალფაბეტ»-მა გადაყლაპა და ოსური «ალფაბეტ»-იც დესერტად დამატა. მალაჩივბში გამყიდველისათვის რუსული ენა სავალდებულო გახდა. მაშ რა დარჩათ მათ ქართული. როცა საქართველოში უმაღლეს დამთავრებული, რუსეთში იგზავნება და მის მაგივრად რუსული «სპეციალისტების» «იმპორტაცია» გაცხარებით მიმდინარეობს?

ცხადია რომ 40 წლის განმავლობაში, ბოლშევიკებს საქართველოზედ ასეთი იერიში არ მიუტანია და დღეს კი, მან თავისი ნიღაბი ჩამოიხადა, დიქტატურა დაუკავშირა დიდმპრობელურ შოვინიზმს. კბილები დაიღვსა და მოსკოვის დიდმპრობელური საუკუნეებრივი იდეალების განსახორციელებლად საქართველოს დაეტაკა.

რამაც საქართველოს მხრივ რეაქცია გამოიწვია და პარტიული თუ არა პარტიული ხელისხელ ჩაკიდებული ამ გეგმის შესრულებას გმირულად წინ აღუდგა და ოკუპაციის მოხსნის ლოზუნგით მტერს მკერდი უჩვენა.

ამ გმირულმა წინააღმდეგობამ კრემლის სატრაპები დააფიქრა. იძულებული გახდნენ გეგმები გადაესინჯათ მაგრამ გვიანაა. ხალხი უფრო გაერთიანდა, მათში თავდაცვის ინსტიქტი გასკვეცდა და გააკეთა. ქართველმა კიდევ თავისი «მე» გამოაშკარავა, ეს «მე» მოსკოვისათვის ლახვარი გამოდგა, რადგან ამ «მემ» პოლონეთი და უნგრეთი გამოადგოდა. ჩანს, რომ ბოლშევიკურ-დიდმპრობელური რეჟიმის საფუძველი საკმაოდ გაიბზარა და ის თურმე არც ისეთი მტკიცე ყოფილა, როგორც ის შორიდან იყურება.

განსჯა-გასამართლება იმისა, რომ თუ რამდენად დროული იყო ეს გამოსვლები ისტორიის საქმეა, ჩვენ კი ერთით უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ როდესაც ერი დამპრობელის წინააღმდეგ გამოდის ის ყოველთვის მართალი და მსჯავრ დაუდებელია.

ცხადია, რომ ხალხი რუსიფიკაციას აღუდგა წინ, მას არც ერთმა ჩრდილოეთის რეჟიმმა არ გაუმართლა არც მოპატივებულმა და ბატონყმურ-რეაქციონურმა, არც დაუპატივებულმა კომუნისტურმა «რევოლიუციონურმა», არც შავმა და არც წითელმა.

ის დარწმუნებულია იმაში, რომ საპირობა ოკუპაციის მოხსნა, რადგან ქართველი ხალხის მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაა, რომელსაც რეჟიმის დამსხვრევა თავის თავად მოყვება.

მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, ჩანს რომ ერმა პრი-

ლობა ჩქარა მოიშუშა და იმავე წლის 26 მაისს უფრო, ორგანიზირებული და სრულ ყოფილი გამოსვლა მოახდინა, სადაც აშკარად ოკუპაციის მოხსნას და 26 მაისის აღდგენას მოითხოვდენ, გარეშე ყოველგვარი სტალინის სურათებისა და სტალინის ეტიკეტისა.

ეროვნულმა საფრთხემ ერში ერთსულფიანობა გააღრმავა და განამტკიცა. საშიშროებამ ერი ფეხზედ დააყენა. პარტიულმა თუ არა პარტიულმა რუსიფიკაციას წინ აღუდგა და ეროვნულ განთავისუფლების საფეხურზედ შემდგარმა ერმა იდეოლოგიური განსხვავება დაივიწყა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, გუშინდელი ორი ურთიერთ მოწინააღმდეგის სისხლი თბილისის ქუჩებზე დაიღვარა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ერის განსაცდელმა ერიდან გამდგარნი ერის სამსახურში ჩააყენა და თავისი დანაშაული სიცოცხლის შეწირვით გამოიყიდა. რადგან სიცოცხლის შეწირვა ყოველგვარი დანაშაულის თანასწორია.

ერი შეერთებულია, საქართველოს დამოუკიდებლობა მას წყურია და ის მზადაა თავი შესწიროს მის თავისუფლებას. გაერთიანებული ერი დიდი ძალაა მისი გატეხა ეხლა ძნელია თუ რაიმე დიდ პროვოკაციას არ ექნა ადგილი.

დღეს ქართველ ხალხს რეჟიმის საკითხი არ უდგანა, მან დამოუკიდებლობის საფეხურზე შესდგა ფეხი და ის თავს წირავს დამოუკიდებლობისათვის. მან იცის, რომ ამისათვის დიდი ბრძოლებია საჭირო და ამ ბრძოლებისათვის მთელი ეროვნული ძალების დარაზნა და მისი რაციონალური გამოყენება გამარჯვების ერთ-ერთი საწინდარია.

მ. ბერიშვილი.

## ქართველი ერი და

### თებერვლის გადატრიალება.

1801 წელში, რუსეთის მთავრობამ დაარღვია საქართველოსთან საკავშირო ხელშეკრულება, საქართველოს მეფე ერეკლე მეორესთან 1873 წელში დადებული და ის, საქართველო, დაიპყრო; უბრალო რუსეთის კუთხედ გამოაცხადა და მიითვისა საქართველოს მეფეობათა გვირგვინი რუსეთის თვითმპყრობელობის მეფეობამ «სახელითა ღვთისათა და ქართველი ერის საბედნიეროდ».

იმ დღიდან ქართველი ერი, ბუნებრივად, თავის შინაგანი არსებით, განუწყვეტლივ რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ ხაზზე იდგა, ვინაიდან ის ვერ ეგუებოდა ვერც მის ნაციონალურ, ვერც კულტურულ, ვერც სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობას და მიდრეკილებებს.

იმ დროს, როცა ქართველი ერისთვის ზნეობრივი საძი-

რკველი, საზოგადოებრივი და პიროვნული, დამყარებული იყო კერძო საკუთრებაზე უხსოვარ დროიდან, ქრისტეს წინეთ, რუსეთში ბატონობდა მიწის საზოგადოებრივი მფლობელობა, ე. წ. «ობშჩინა» და ყოველი უძრავი და მოძრავი არსებანი თვითმპყრობელ მეფის საკუთრებას წარმოადგენდნენ. მხოლოდ ათეული წლის წინეთ, საქართველოს დაპყრობამდე, ეკატერინე მეორის კანონით, მიესაჯა მებატონეებს მიწის საკუთრების უფლებები და მოხდა მე-18 საუკუნის ბოლოდან.

ბუნებრივი, თუ რა რიგი ფსიქოლოგიური და მიდრეკილებათა განსხვავება უნდა ყოფილიყო და არის რუსისა და ქართულ პიროვნებათა შორის. მით უმეტესს, რომ მათ შორის ენათა განსხვავებისა. სჯულთა დებასაც განსხვავება ემჩნევა, ვინაიდან ამ დროს ქართული ეკლესია სახელმწიფოდან დამოუკიდებელია და თავის უფლებებს მხოლოდ სახელმწიფოსთან შეთანხმებებზე ამყარებს და არა მეფეთა ბრძანებებზე, იმ დროს, როცა რუსეთში ეკლესიაც კი თვითმპყრობელ მეფის სრულ განკარგულებაშია.

ზემო ხსენებული ცხოვრების პირობები ნათელჰყოფს იმას, რომ ქართული საზოგადოების გათქვეფა იმ საზოგადოებაში, რომელსაც წარმოადგენდა რუსული, ყოველად შეუძლებელი შეიქნა და რუსეთის სახელმწიფო მართველობა ჯერ შეეცადა ძალით მის გარუსებას და როცა ასეთმა მეტად უხეში სახე მიიღო, მაშინ უფრო მოქნილ საშუალებებს მიმართა, სახელდობრ, ქართული მიწა-წყალის ავისება-აპურვებას სხვა და სხვა ტომებით, რომ ქართველ ერს არ შენარჩუნებოდა ეთნოგრაფიული მთლიანობა.

ნუ ვინ იწყენს, თუ ეს შესავალი კიდევ შეივსოს და მკითხველს უფრო ნათლად წარმოუდგინოთ მდგომარეობა, რომ, როცა რუსეთი, დამპყრობელი, შემოვიდა ამიერ-კავკასიაში. მაშინ, როგორც სახელმწიფო იყო მხოლოდ საქართველო სახელმწიფოური ინსტიტუციებით. დანარჩენი ხალხები კი წარმოადგენდნენ სათავადო ტომებს, ანუ სამთავროებს, რომლებიც თბილისის ტახტის მართველობას ანგარიშს უწყევდნენ და მასთან შეთანხმებით არსებობდნენ.

ქართველი ერისთვის შეურაცხყოფა იყო ის, რომ გარუსების მიზნით მუნჯური წყობის სწავლა შემოიღო რუსეთის საგანათლებლო უწყებამ და ვასტორგოვის დანიშვნა ამ მიზნით, რომელმაც სამეგრელოსთვის ანბანიც გამოიგონა, ამიერ-კავკასიის ხალხებისათვის მეტად დამამცირებელ მოვლენად ითვლებოდა განურჩევლად ეროვნებისა და წოდებისა. ეს ის ხანა არის, როცა რუსეთის თვითმპყრობელობამ სრული ბატონობა იბრძოლა მთელ კავკასიაში, მას შემდეგ, რა რომ მთელი რიგი წყრომის აჯანყებები, ქართული თავადაზნაურობის მეთაურობით, სისხლში ჩააღჩო და ფიქრობდა, რომ საქართველოს სახელი სამუდამოდ ისტორიას ჩაბარდაო.

მაგრამ ერი, რომელსაც ათასი წლობით თავისი ნების-  
ყოფით თავისი მართველობა ჰქონდა, თავისი წერა-კითხვა და  
ლიტერატურა; რომელსაც თავისი პირადობა წარდგენილი  
ჰქონდა და დიდის ხნის წინეთ, ვიდრე რუსეთი დაიპყრობდა,  
ნაცნობი იყო ყველა არსებულ სახელმწიფოებისაგან, განა ად-  
ვილად გადაიტანდა ასეთ შეურაცხყოფელ ქრილობას!

მას მხოლოდ უნდა მოვლინებოდა ახალი ძალები, ახალი  
მიმართულებით, რომ ერს კვლავ განეახლებია ბრძოლა თა-  
ვის არსებობის განახლებისათვის. მტერი თუ მას მკვდრად  
თვლიდა, ის კი გატრენილი იყო, გულში სასიკაცხლო ცეც-  
ხლი უღვიოდა და ემზადებოდა და უცდიდა იმ დროს როცა  
საერთაშორისო პირობები შეიცვლებოდა მისი აღდგენის სა-  
სარგებლოდ.

პირველი ხმა, ძალთა გამოწვევისა, მოხდა პატარა ნაწე-  
რწკალით, როდესაც სასულიერო სემენარიის რექტორმა შე-  
ურაცხყოფა მიაყენა სემენარიის მოსწავლეს, სილიბისტრო  
ჯიბლაძეს, უთხრა რა მას «ძალის ენაზე ლაპარაკობო». ჯი-  
ბლაძემ შეურაცხოფა ვერ აიტანა. რექტორს ხელი სტაცა და  
კიბეებზე თრევით ქვედა სართულამდე ჩაათრია. რასაკვირ-  
ველია იგი დაისაჯა. განმასწორებელ რაზმში, ციმბირში,  
გაგზავნეს. მაგრამ, ეს ამბავი ქართულ ახალგაზდობას და სა-  
ზოგადოებას მოედო და მის ვაჟკაცობას ქებით იხსენიებენ,  
ვინაიდან მის მოქმედებაში ხედავდენ ეროვნული არსების  
დაცვას. აქედან კი ერის ყოველგვარი ტკივილები აღიძრენ.  
ახალგაზრდობის აზროვნება ამოძრავდა და სავლელი გზის  
გამონახვის ძებნას შეუდგა.

რომლებიც უკვე გარუსებულნი იყვნენ, მათთვის, რასა-  
კვირველია, ასეთი საკითხიც კი არ ისმებოდა, მაგრამ დანარ-  
ჩენებთა შორის უდაოდ იყო ცნობილი ერის თვით არსებობა  
და მისი აღდგენისათვის ბრძოლა. ხოლო, აი, ამ ბრძოლისა-  
თვის გზის ამორჩევა იწვევდა აზრთა სხვაობას და მოქმე-  
დების მოწესრიგებას; ძებნას ერში იმ მთავარ ძალისას,  
რომელიც მისცემს ბრძოლას ნამდვილ ეროვნულ ხასიათს  
და წარმოადგენს როგორც ზნეობრივ, ისე არსებითი ძალას.  
აქ, მხოლოდ, ამოძრავებულია რევოლიუციური აზროვნება  
და ორგანიზაციულად წყობა კი არ არსებობს. კანტი-კუნტად  
პიროვნებები, ზედებიან ურთი-ერთს და კამათობენ სულიე-  
რად საბრძოლველად განწყობილნი. ცალკეული პიროვნებე-  
ბი, როგორც აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე, თავის ლე-  
ქსებით ეძებდენ «საყვარლის საფლავს», რომლითაც აღვიძე-  
ბენ ბრძოლის ხასიათს და ახალგაზრდობაც სახალხო სიმღე-  
რად აქცევს, მაგრამ ფართო ხალხის ძირითად ძალებისთვის  
ჯერ ბუნდოვანია.

მხოლოდ, ოთხმოცდაათიან წლებში დგება პატარა ჯგუ-  
ფი: იგივე «გასწორებული» სილიბისტრო ჯიბლაძე, ეგნატე  
ინგოროყვა (ნინოშვილი), კარლო ჩხეიძე, ნოე ჟორდანი, ის-

იდორე რამიშვილი და სხვ. და დაახლოებით მუშაობის გეგმას ადგენენ.

უპირველესად ისინი ცნობენ, რომ საქართველოს დამპყრობი, რუსები, დიდი, ძალა და დიდი სიფრთხილეა საპყრო, რომ არ მიეცეს მას, ქართველი ერიდან, მიზეზი, რომ სავსებით გადასახლოს თავის მიწა-წყლიდან, ერთბაშად. ამიტომ პირდაპირი ბრძოლა მის წინააღმდეგ წმინდა ეროვნული სახით, უსარგებლოდ და საზარალოდ მიიჩნეეს. ამიტომ მოქმედების წესრიგი, რამენაირად, უნდა შეეთანხმოს თვით რუსეთის შინაურ რევოლუციონურ მოძრაობასო. ამავე ჯგუფიდან ნაცნობია, რომ ქართული ერის ცხოვრებაში უკვე შემოჭრილია კაპიტალისტური წარმოება და მისი საზოგადოებაც დაყოფილია კლასობრივად, რაც გამოიხატება მუშების ბრძოლით, ვაფიცვების სახით. აგრეთვე, ისიც ნათლად სჩანს, რომ ეს მუშები, დიდის უმრავლესობით, ჯერ კიდევ, მეტად დაკავშირებულია ქონებრივად და ზნეობრივად სოფლის მშრომელთან, და გაღარიბებულ აზნაურობასთან. მათი საერთო ჯამი კი წარმოადგენს საქართველოს მცხოვრებთა ოთხ-მეხუთედს. მაშასადამე, რომ მთელმა ერმა მონაწილეობა მიიღოს საერთო ბრძოლაში, მეტბრძოლ ჯგუფისაგან უნდა შემუშავდეს ისეთი საზოგადო მოთხოვნილებები, რომლებიც ერის უმთავრეს ძალების სურვილს გამოხატავდეს და საერთო ბრძოლის ფერხულში ჩააბამსო. და, აი, 1893 წლის დასაწყისში, ქართული საზოგადოების წინაშე აშკარად გამოცხადდა პროგრამა, ზემო დასახელებული ჯგუფის მიერ. პროგრამა, რომელსაც საფუძვლად ელა შემდეგი დებულებები: 1) ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; 2) თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა, როგორც ხელ-შემწყობი პირობა უმთავრესი სურვილის მისაღწევად და როგორც უახლოესი საგანი მოწინავე დასის მოქმედებისა; აქედან—3) ეროვნული გრძობა მთელი ხალხისა და ადამიანური უფლებანი, კაცური ღირსებანი თვით ეკონომიურ პირისა აღზრდილი და აღორძინებული უნდა იქნეს ეკონომიურ ნიადაგზე. ამ ჯგუფმა, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, პროგრესიულ მოვლენად გამოაცხადა, ვინაიდან ის ერის კარ-ჩაკეტილობის დამრღვევია და ერის გამაერთიანებელია. მაგრამ მეორეს მხრით, რამდენადაც ის უმრავლესობას აღარბებს და უმცირესობას გაბატონებას აძლევს, რეგრესიულ მოვლენად თვლის. ამიტომ, გაღარიბებული ნაწილის შეკავშირება და მისი ინტერესების დაცვა, პირდაპირი იარაღია ერის კეთილდღეობის მოპოებისათვის და უმაღლესი წინმხედვლობის მომასწავებელია-ო.

ზემოხსენებული მთავარი დებულებები, რომლებიც ფუძეთ უნდა დაედოს ბრძოლის მიმართვას ერის აღორძინებისათვის და კეთილდღეობისათვის, ხსენებულმა ფართულმა ჯგუფმა ფართო საზოგადოების წინაშე წარსდგა თავის პროგრამა

302x0



მით 1894 წელს, 7 მაისს, ეგნატე ნინოშვილის დასაფლავების დღეს, სილიბისტრო ჯიბლაძის გამოსვლით. ეს ჯგუფი, უკვე წოდებული «მესამე დასი», ასე ახასიათებს თანამედროვე ცხოვრების პირობებს: ეროვნული განთავისუფლება ნიშნავს— ეკონომიურ განვითარებას. თუმცა ეკონომიური განვითარება ერს ჰყოფს დასებათ და ახდენს პოლიტიკურ ცვლილებას, მაგრამ ახალი პოლიტიკური ცვლილება აძლიერებს ეკონომიურ წარმატებას, რაშიდაც მონაწილეა ერის და ხალხის დიდი უმრავლესობა. ამიტომ: ხალხის ცხოვრების შეცვლა-გაუმჯობესება შეუძლია მხოლოდ ხალხს და არა მასზე მაღლიდან დამყურე პიროვნებებს. ასეთი შემეცნება იძლევა სრულიად გარკვეულ ხაზს, რომლით ყოველის შემძლეთ ითვლება ხალხი—დემოკრატია. ამთვისებელი ამ შემეცნებისა, ხდება ბუნებრივად პირველი, მუშათა კლასის მოწინავე მუშები, რომლების საშუალებით წარმოებებში მომუშავენი სავსებით მათი თანამოაზრენი ხდებიან და ქალაქებში და დაბებში ადგილობრივი გუნდები დგებიან და გუნდთა შორისაც არსდებიან. და 1895-96 წ.წ. «მესამე დასი» გადაკეთდა საქართველოს სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიათ. მუშები ქალაქისა სოფლადაც აარსებენ მოწინავე გლეხთა გუნდებს. ამ პარტიის ძირად ითვლება ქართველი ერი, რომელიც ნათლად არის აღნიშნული ორ-მეშვიდე და მერვე მუხლებში:

მუხლი მე-VII: «ჩვენი ქვეყანა უკვე ჩადგა მოქალაქობრივ ხანაში. ეს იხატება პატრიარქალურ წყობილების რღვევაში და კაპიტალისტურის დამკვიდრებაში. ქართველი ხალხის ცხოვრება ევროპიელდება».

მუხლი მე-VIII: «გაევროპიელება წარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა. ამის, ხალხის შეგნებაში გატანა—ჩვენი დროის ისტორიული კითხვაა».

დემოკრატია—ერი! ერი—დემოკრატია! აი, მთავარი მამოძრავებელი შემეცნება ქართველი ერისა, რაიცა შეიქნა სახელმძღვანელოდ ყველა იმ ცოცხალი ძალებისა, რომლებიც ქართული მოძრაობის სათავეს უდგებიან 1895 წლიდან.

1901 წელში, როცა რუსეთის იმპერიის მთავრობა მართავს საიუბილეო გამოფენას თბილისში, ასი წლის თავის აღსანიშნავად, დღიდან საქართველოს დაპყრობისა 1801 წლისა, სოციალდემოკრატია «ბოიკოტს» უცხადებს მას, არა ოფიციალურად. მას უერთდებიან მხოლოდ ერთეული პიროვნებები ინტელიგენციისა, აკაკი წერეთლის მეთაურობით. ქართველი ხალხის მონაწილეობა არ ჩანს, გარდა თავად-აზნაურობის იმ ნაწილისა, რომლებიც ჩინ-მედლების მაძიებელნი იყვნენ. 1900 წლიდან არსდებიან სხვადასხვა ინტელექტიური ჯგუფები, პრაგრაშით განსხვავებული სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიისაგან,—ნიეთიერი და კლასიური თვალთა

ხედვის განუყოფლობით ქართველთ ერისა, მაგრამ ქართული ეროვნების აღდგენის საკითხში, საქართველოს სოც. დემ. პარტიის მიდრეკილებას იზიარებდნენ. ქართველი ერი შეიქნა სრულიად მსმენელი სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიისა და როცა პარტიამ დაინახა საქიროდ, რომ შიდა რუსეთში არსებული რევოლიუციონური ძალები მისი მიზნების განხორციელებისთვის გამოეყენებია, გადაწყვიტა მათთან დაკავშირება და მათთან ერთად თვითმპყრობელობის დაცემა. ამ მიზნით 1903 წელში ის შეუერთდა რუსეთის სოც. დემ. მუშ. პარტიას, მიაღებია რა მას ძირითად პროგრამის მუხლად «ერის თვითკამორკვევა—სრულიად გამოყოფა»-დე». ამასთანავე მან შეინარჩუნა უფლება ადგილობრივი თვითმომქმედებების, სადაც ყოველდღიურ საქმეებს დამოუკიდებლად აწარმოებდა.

მისი საქმიანობის გამოცდა და ქართველი ერის მასზე ნდობა 1905 წელში. დეკემბერში, მთელ რუსეთის იმპერიაში რევოლიუციური მოძრაობის დროს.—პარტიამ, 1905 წლის რევოლიუციის ამოცანა დიდის მოქნილობით ახსნა და შეასრულა. მთელი ამიერ-კავკასიის მცხოვრებთათვის საგლედი გზის მაჩვენებელი შეიქნა და როცა კავკასიის სანამესტრიკო, რუსული მართელობა თბილისში, დაიბნა, მართვის აღვრი ხელიდან დაძვრა (სომეხ-თათართა შორის სისხლის ღვრის დროს), რუსი ნამესტრიკი თვითმპყრობელ მეფისა, იძულებული გახდა მიემართა იმ პარტიისათვის, რომელსაც კანონ გარეშეთ თვლიდა და სდევნიდა, რათა ხელი შეეწყო პარტიას წესრიგის აღდგენისათვის, რისთვისაც პარტიას იარაღიც შეჰპირდა.

პარტიამაც ისიდორე რამიშვილი წარადგინა. რომელმაც რამოდენიმე ასეული თოფი მიიღო, იმ წამსვე მუშები შეიარაღდნენ და წეს-რიგის დაცვას შეუდგნენ. რასაც მთელი ქართული საზოგადოება სიხარულით და იმედით შეჰყურებდა, სანამ გაათქვამული რუსული პოლკები და კაზაკების განსაკუთრებული გუნდები არ შემოვიდოდნენ შიდა რუსეთიდან. ცხრაას ხუთი წლის რევოლუცია დაამარცხა რუსულმა თვითმპყრობელობამ და ქართველ ერს სასტიკად პასუხი მოსთხოვა. მიუხედავად ხერტა-ქლუტისა და მოსახლეობის გადაწყვისა, ქართველმა ერმა, საქართველოს სოც. დემ. პარტიას არა თუ უნდობლობით მოეპყრო, არამედ კიდევ უფრო მიენდო და ბრძოლის პოზიციები შეუნახა.

პარტიამაც, ძალთა შენახვით, ახალი პოზიციების აღების მიზანი დაისახა იმ ახალი პირობებით, რომელსაც იძლეოდა 1905 წლის, ოქტომბრის მანიფესტი და აღინიშნებოდა მოწვევა «სახელმწიფო სათათბიროს» (გოსუდარსტვენნაია დუმა). სწორედ აქაც, როცა ამ ახალ სახელმწიფოებრივ დაწესებულებაში მონაწილეობის მიღების შესახებ დაისვა საკითხი მთელი იმპერიის მასშტაბით.—შიდა რუსეთის რევა-

ლიუციურმა პარტიებმა «ბოიკოტი» გამოუცხადეს არჩევნებში მონაწილეობას, რომლის შორისაც რუსეთის სოც.-დემ. პარტიაც ითვლებოდა, ქართველმა ერმა კი, საქართველოს სოც.-დემ. პარტიის ხელმძღვანელობით, გადაქრით მონაწილეობის მომხრედ გამოვიდა, სცნო რა ეს მოვლენა პროგრესულად იმ სიბნელისათვის, რომელიც შავ-ღრუბლად აწვამთელი იმპერიის ცხოვრებას. ქართველი ერის გამპირიანი შემეცნება ამის იმიტომ მოითხოვდა, რომ ამ დაწესებულების საშუალებით იღებოდა ის ფანჯარა, რომლის საშუალებით შემოიჭრებოდა ევროპიული შუქი და ნათლად აღინახებოდა უფსკრულის სიშავე იმპერიაში გაბატონებულისა. მთელი ამიერ-კავკასიაც ქართულის მიდრეკილებას დაადგა და საქართველომ თავის წარმომადგენელად სოც.-დემოკრატები აირჩია, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, რომელმაც სახელმწიფო სათათბიროში შექნა პარტიული ფრაქცია და პირველად მისცა ევროპიული მიმართულება. ამოცანის ასეთნაირი გახსნა სამაგალითო შეიქნა სხვა პარტიებისათვისაც შიდა რუსეთში, და რა სათათბიროები გარეკილ იქნენ: პირველი, მეორე და მესამე და კიდევ მოწვეული, რუსეთის პარტიებმაც მიიღეს მონაწილეობა. ასე და ამ რიგად, ქართველი ერის აზრთა მოძრაობა, მისაბაძად შეიქნა მთელი იმპერიის მცხოვრებთათვის, ვიდრე 1917 წლისა თებერვლის თვემდე.

საქართველოს სოციალდემოკრატიული ფრაქციის გამოსვლები «სახელმწიფო სათათბირო»-ს ტრიბუნაზე და მისი დეკლარაციები საერთო-საკაცობრიო იდეალების დაცვით: თანასწორობა სქესთა შორის, თავისუფლება სიტყვის-ბეჭევის, ეროვნებათა თავისუფლება და თანასწორობა მათ შორის, პიროვნებათა თავისუფლება და მშრომელთა უფლებრივი გათანასწორება დანარჩენებთან და სხვ., ქართველი ერისგან სრული შემეცნებით მიღებული იყო და მომავალს დიდის იმედით შეჰყურებდა. მას სწამდა ისიც, რომ რუსის ხალხიც შეითვისებდა ასეთ საკაცობრიო იდეალებს, რითაც ქართველ ერსაც მიეცემოდა შვება, რომ თავის შინას მოუვლიდა თავისი შრომით და უნარით. ის, საქართველო, გაევროპიელდა შეგნებით, ხოლო ესაუიროება საწარმოო ძალების თავისუფლად ამოძრავება. ის აშკარად ხედავს, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა ამ ძალებს აზწოვბს. და—, მოხდა გადატრიალება, 1917 წელს. მთელ იმპერიაში. სულ ცოტა ცნობა, შორეულ პეტროგრადიდან, «მთავრობაძე გარდაიცვალა», საყოფი შეიქნა. რომ იმ წამსვე ამოძრავდა მოწინავე მუშები თბილისის ქარხნებისა და ფაბრიკებისა, შეიკრიბა და სამი დღის განმავლობაში მუშათა საბჭო დაარსებულ იქნა. იმავე ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით და მის ამხანაგათ კი, გიორგი ერაძე. დაუყოვნებლივ კავშირი გაიბა ქართულ სოფლად და სოფლის მშრომელთა (გლეხთა) საბჭოებიც დაარსდა. შეუდავებლად—მუშათა და გლეხთა საბჭოების კავშირი და-

არსდა, რასაც შემდეგ მთელ ამიერ-კავკასიის მშრომელთა კავშირი მოჰყვა და მის შუაგულად კი, თბილისი აღმოჩნდა, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით.

ასე, რომ თბილისი შეიქნა მთავარი ხელმძღვანელი ამიერ-კავკასიის ყველა ხალხების ცხოვრებისა. ისიც ყოველდღიურად დაკავშირებულია პეტროგრადის ცხოვრების მსვლელობასთან, სადაც უკვე დაარსებულია მუშათა საბჭო, რომლის თავმჯდომარედ კარლო ჩხეიძეა და ისიც იძლევა იქაურ ცნობებს. თბილისი მოითხოვს დამფუძნებელი კრების მოწვევის დაქარვას. იქ კი, კამათია მხოლოდ იმაზე, თუ რაირგ გავაგრძელოთ ომიო, რომ მოკავშირები არ გავაჯავროთო. ამ დროს პეტროგრადის საბჭოში შედის «საღდათების საბჭო»-ც და კარლო ჩხეიძეც უმცირესობაში რჩება. ისიც გამოემართება სამშობლო—საქართველოში.

თებერვლის ნაყოფი «დროებითი მთავრობა», რვა თვის შემდეგ, უიარაღოდ რჩება და ბოლშევიკები, ლენინის მეთაურობით, ჯარისკაცების იარაღით. მართველობას ხელთ აიტაცებენ და თავიანთ მოწინააღმდეგეთ კანონ გარეშე აყენებენ. ბოლშევიკებს კი, დღიდან მისი წოდებისა და რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიის ორად გაყოფისა «ბოლშევიკებათ» და «შენშევიკებათ», 1903 წელში, საქართველოს სოც.დემოკრატ. პარტია, არა დემოკრატად აცხადებს და არა სოციალისტად თვლის. ამიტომაც თავის რიგებიდან გამორიცხული ჰყავს, თურომელიმე პიროვნება რუსული ბოლშევიკური სულსიკვეთებით სახალხოდ გამოჩნდებიან. და ბუნებრივად—, როცა ბოლშევიკებმა დროებითი მთავრობა ძალით ჩამოაგდეს და დამფუძნებელი კრების მოწვევა თვით იკისრეს, საქართველოს სოც.-დემოკრატიამ შედეგებს დიდის იუვით გაჰხედა და თადარიგი დაიჭირა თავის მოქმედებისათვის. ქართველი ერის ყველა ნაწილების გაერთიანებასთან ერთად, მთელ ამიერ-კავკასიის ხალხებსაც მთავარი ყურადღება მიაქცია. საგარეო მდგომარეობის სირთულე დიდ გამპრიახობას მოითხოვდა, რომ ქართველი ერი, ხალხთა აბოზოქრებულ ტალღებიდან არ ჩანთქმულიყო და თავისი პიროვნება შეენარჩუნებია, ვინაიდან ჯერ ომი გაუთავებელი იყო და მომავალი განუზომელ საშიშროებას წარმოადგენდა. და—როდესაც ბოლშევიკებმა მიმართეს რუსის მხედრობას «შტკიები მიწაში—დაძმობილება—ფრონტზე»-ო; ქართველი ერისათვის კიდევ უარესი სახიფათო მდგომარეობა შეიქნა, ვინაიდან სამხრეთიდან მოწოლილი მტრის ჯარები. ისტორიულად მისი მტერი. გამარჯვებული ხდებოდა და საქართველოში ადვილად შემოიჭრებოდა. საქართველოს კი, ამ დროს ჰყავს, მხოლოდ მოწინავე მუშები და ისევე მოწინავე სოფლის მშრომელთაგან შეიარაღებული გვარდია. რუსის ჯარები უკან დაიბრუნ და მეომარ მტერს კი არ ებრძვიან, არამედ შინაურობის აკლებით იმუქრებიან.

საქართველოს და ამიერ-კავკასიის დემოკრატიას, ბოლშევიკების მთავრობამ, ამ მოქმედებით სიკვდილით განაჩენი გამოუტანა. «ბრესტ-ლიტოვსკის» ხელშეკრულებით ხომ, საქართველოს სხეულში სასიკვდილო ლახვარი ჩაჰკრა, როცა მტერს მიეცა ბათუმის, არტანის და ახალციხის მაზრები! მაგრამ, რამდენადაც ასეთი საშინელება ნათლად ჩნდება, იმდენად, კიდევ უფრო, კაჟდება ქართველი ერის დემოკრატიის ნების ყოფა. კიდევ უფრო მაგრად უდგება გვერდში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობას. იარაღით ხელში და ადგილობრივი მასიური დადგენილებებით ამხნევენ მას, რაც გარეშე მეომარ მტრებისათვისაც მეტად საყურადღებო მოვლენად შეიქნა. აქ ქართველმა ერმა ძველი ტრადიციული სულისკვეთება განაახლა თავის არსებობის და კულტურის დაცვისათვის და გაეფროპიელობა ნათლად ახატა და—, როდესაც ბოლშევიკურმა მთავრობამ, ლენინის მეთაობით, პეტროგრადი დასტოვა და თავის დასაყრდენი, წმინდარუსულ სატახტო ქალაქში, მოსკოვში, გადმოიტანა და მითი აარიდა თავი გაეფროპიელებას, ქართველი ერის ლტოლვა მიისწრაფის ევროპასთან კავშირის შეუწყვეტლობას. ბოლშევიკების მთავრობამ მოიწვია იმპერიის დამფუძნებელი კრება მოსკოვში. ის, მას, არ მოეწონა და გარეკა; მაგრამ, რუსეთის ამ უმაღლეს დაწესებულებას, რომელსაც მთელი ხალხის უფლება უნდა განემტკიცებია, დამცველი არ აღმოუჩნდა და ბოლშევიკების ბატონობას ხელი შეეწყო. ბოლშევიკებმა კი როლსთა მცხოვრების 85 პროც. კანონ გარეშე დააყენა და გამოაცხადა მართველობა საბჭოების, მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელების ქვეშ.

ამ დროს ამიერ-კავკასიაში არსდება ამიერ-კავკასიის სენიმი, პარლამენტი, სამი ერისგან შემდგარი, თბილისში. დემოკრატიულად არჩეული, რომლის მოთავეთ, იგივე, საქართველოს სოც.-დემოკ. პარტია არის და ფედერატიულ ხალხთა კავშირად ითვლება. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით გათამამებული ოსმალეთისათვის, ამიერ-კავკასიის ფედერაციის მიუღებელი აღმოჩნდა და სამხედრო ძალის დაწოლით შესძლო მისი დაშლა, დააწვა რა მთელის ძალებით, მის ხერხემალს, საქართველოს დემოკრატია უფრო კაჟდება და სარგებლობს რა ევროპის სახელმწიფოთა სიმპატიით, აცხადებს თავის დამოუკიდებლობას მთელი ქვეყნიერების წინაშე 26 მაის 1918 წლისა. ის იცნო ყველა კულტურულმა სახელმწიფოებმა «დე ფაქტო—დე იურე», როგორც აღმოსავლეთის ისე დასავლეთისა. მოსკოვის, ბოლშევიკური მთავრობაც იძულებული გახდა ის ეცნო. სამი წლის განმავლობაში დემოკრატიული საქართველო აძლევს საშუალებას ყველა სასიკოცხლო ძალების ამოძრავებას ცხოვრების ყოველივე დარგებში: თავისუფლება კავშირთა,—კოოპერაციისა,—სიტყვისა და წერისა. საზოგადოდ ყველა კოლექტიურობისა; არ იგი-

წყებს ამავე დროს პირადულ წამოწყებებს და თავისად გამო-  
ყენებას. საზოგადოება და პიროვნება თავისუფლდებია, სო-  
ფლის მშრომელთ მიწის საქუთრება და ამ მიზნით მიწის და-  
ნაწილება. მოწვეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრე-  
ბა, რომელმაც შეიმუშავა და დაამტკიცა დემოკრატიული  
კონსტიტუცია, სამაგალითო ყველა კულტურულ ერისათვის.  
არც ერთი ნაწილი ქართველი ერისა მის საწინააღმდეგოთ არ  
გამოსულა. ამ ეროვნული უმაღლესი კანონმდებელი დაწესე-  
ბულების არჩევა მოხდა: საყოველთაო, პირდაპირი, განუტრე-  
ვლად სქესისა და სჯულის პრინციპებით.

მხოლოდ, 1921 წელში, ბოლშევიკურმა რუსეთმა, ლენი-  
ნის მეთაურობით, შვიდი კვირის ომის შემდეგ, სახელითა  
სოციალიზმისა, იგი დაიპყრო და დაანგრია ის საქართველო,  
რომელიც თავისი კულტურული მისწრაფებებით აკვირვებ-  
და თვით მოწინავე ქვეყნების მოწინავე წრეებს, ვინაიდან არ  
იკოდენ ძველი ქართული კულტუროსნობა და ასი წლით კი,  
მისი სახე დაფარული რუსული თვითმპყრობელობის შავი  
ზეწარით.

ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ქართველი სრულის შეგნე-  
ბით და დარახმულად მიიმართება 1893 წლიდან 1917 წლამდე,  
ე. ი. 25 წლის მანძილზე, რათა მან შესძლოს დაახლოება მო-  
წინავე ქვეყნების ხალხებთან კულტურულად, ეკონომიურად  
და თავისი პირადობა მათ წინიშე წარადგინოს, თავის არსე-  
ბის სისრულით. ეს, მან, შესძლო, სულ ცოტა ხნის განმავლო-  
ბაში, სამი წლის მსვლელობაში, 1919—21 წლამდე. არც ერთი  
წვეთი სისხლი არ დაღვრილა შიგნითა ქართული მცხოვრებ-  
ლებისა ამ დიდ გადატრიალების დროს. მას თავისუფლად  
დამორჩილა ყველა ქართული დაჯგუფებები საზოგადოებ-  
რივი ცხოვრებისა. და—ქართველი ერი სწრაფად შეუდგა წინ  
მსვლელობის გზას. ბევრ ხალხთათვის მაგალითის მიმცემი  
შეიქნა, თავისი პროგრესიული მოქმედებით. სოციალისტუ-  
რი ინტერნაციონალიც გაკვირვებაში მოიყვანა, როცა ისინი  
თბილისს ესტუმრენ და, თითქმის, რევიზიაც კი მოახდინეს.  
რომ დარწმუნებულოყვნენ ქართულის სინამდვილეში. დარ-  
წმუნდენ და თავ-თავიანთ ქვეყნებში, თავიანთ ენაზე, ქართვე-  
ლი ერის ქება წიგნებათ გამოსცეს. მისი დემოკრატიობა უნა-  
კლოდ იცნეს.

და, აი, ამ წმინდა დემოკრატიას, მურღლად თავს დაეცა  
მოსკოვის თვითმპყრობელური, ბოლშევიკური მთავრობა.  
ლენინის მეთაობით. სისხლი ადინა და იგი, საქართველო, და-  
იპყრო. ოფიციალურად კი გამოაცხადა მოსკოვთან მოკავში-  
რედ. წაართვა რა საქართველოს თავისი პირადობა სხვათა  
წინაშე. შეჰყაოა ის წმინდა რუსულ ბოხელში.

მას შემდეგ ოცდაჩვიდმეტი წელი გავიდა. მოსკოვი კაცობრიობისთვის საშინელება შეიქნა. მისი ბოლშევიკური-კომუნისტური მთავრობა მთელ განათლებულ კაცობრიობას ემუქრება. ევროპიელობა მისგან გადაპურით უარყოფილია. ამისთანაობიდან მან კარები ჩაიკეტა. ყოველივე ზელშეკრულება და სიტყვა მისგან უარყოფილია. შინაურად მოსპო. რეჟიმმა, ყოველი ადამიანური მოთხოვნილებებია სურვილების გამოთქმა. რუსის ხალხიც ამ რეჟიმს არ გამოეყო და რეჟიმის მთავარი მუშტია შინ და გარედ. და ჩვენთვის და უდაოდ, ქართველი ერისთვის, სამწუხარო ის არის, რომ ეს, მოსკოვის საბჭოთა—«კავშირი», საქართველოს სახელითაც ელაპარაკება მთელ კაცობრიობას და ქართველი ერიც პასუხისმგებლად გახადა იმ ველურ და არა ადამიანურ მოქმედებაში, რომლითაც, კეთილშობილ და განათლებულ კაცობრიობას, შიშში და ძრწოლაში აყენებს დღეს და გამოსავალი მეტი ვერ მოუწახავს, ვიდრე საშინელებით შეიარაღება, რომ ეგებ ამით დაშინდეს მოსკოვის ველურებში. ჩვენის შეხედულებით, ეს ტყუილი ცდაა განათლებული კაცობრიობისაგან. მოსკოვი დროს უცდის და ამ რეჟიმისთვის ადამიანობის უღელტა ნამდვილი ნადიმი იქნება.

განა ჩვენს სიმართლეს ვინმე დაიჯერებს? დღემდის არ დაუჯერებიათ და არც აწი არ დაიჯერებენ, სანამ თავის კისერზე არ იგრძნობენ მორიელის შხამს! ამიტომ ამაზე მეტს არ ვამბობთ.

ქართველ ერს კი, ოცდახუთი წლით უწინ, ვიდრე 1917 წ. თებერვალი, აულია, შეგნებულად, თავისუფლების დროშა. სამი წლის განმავლობაში ამ თავისუფლების დროშით ყველას წინ წარსდგა, როგორც ღირსეული პიროვნება და სიმწიფის ძეგლიც მიიღო. დღეს ის მოსკოვის შავი ზეწრით დაფარულია. მისი ნამდვილი სახე არა ჩანს. მაგრამ ღრმად დარწმუნებული ვარ,—მასში ღვივის თავისუფლებისადმი ტრფობა და ამ ტრფობის დროშას ხელიდან არ გაუშვებს. ის მოქნილად მოძრაობს, რომ მყრალ-პირდაღებულმა ვეშაპმა არ ჩაყლაპოს.

ჩვენ კი, პოლიტიკურ ემიგრაციაში მყოფმა, შევეცადოთ, ერთსულოვნათ,—ქართველ ერს ბრალი მოეხსნას, მოსკოვის შავ-ბნელ საქმიანობისაგან,—მთელი კაცობრიობის წინაშე.

ლევონტი ქვიციანი.

აბონდანი. 1958 წ. თებერვალი.

## თავისუფლება ... და ხილვები!

«ქართველმა ჭირიცა და ღვინიც თავისებური იცის, ვიჟმაჟი ბუნების წყვეტვლით ადამიანი ამღვრებულა და ღვინის სამხიარულე ჭიბნს უძღვინს. ასევეა ჭირიცა და ღვინეც. ეს უკანახეული ნაღვლიანია, მაგრამ მაინც ვაჟკაცობით გამსჭვალული,—ხიმურა-ლეკხებით შემკობილი. სწორედ ამან აატანია ქართველს ის ხაარავლ ისტორიული მოქმენტები, რემედიც მან განიცადა...»

აბაბო.

სასიქადულო მგოსნის უკანასკნელი სიტყვა ზეგამოჭრილია ერის დღევანდელ ტრადიციის ფონზე. სწორედ დღევანდელი გაუიფრება მას გადააქვს ნაღვლიანი სიმღერით და ცოცხალი ცეკვით. მის სულიერ მისწრაფებაში ჩაქსოვილია ვაჟკაცური გამკლავება. გულადი მხნეობა, ნებისყოფის დაჟიშვა. მისი კულტურული აღმავლობა ეკლიან გზაზე-ბილიკებით ისაზღვრება, რომელთა მიხვეულ-მოხვეული ხვრელები მას არ აშინებს—მძიმე ტვირთი გამარჯვების მთაზე აიტანოს. იგი ცდილობს ისტორიიდან ნაბოძები, მამა-პაპათაგან გადმოცემული შეინარჩუნოს, გაალამაზოს. გარდაქმნას და თაიგულად სიტყვა-კანმულ მწერლობაში წარმოადგინოს. გამძლეობის დინამიური ლტოლვა გადადის ისტორიულ გმირთა გაცოცხლებაში. მის საგმირო და ვაჟკაცურ მოქმედებასა და თქმაში.

უფლება აყრილ ადამიანის გონებაში ცოცხლდება წარსულის მძაფრი ეპიზოდები,—ერისგან გადატანილ ბრძოლებისა და ბედისთვის თავდადებულთა და თავგანწირულთა მოქმედებანი.

ქართულ ფოლკლორის სხვადასხვა დარგის გაცოცხლებით ერის სულიერ მოძრაობაში ჩაბმულია მთელი ხალხი, მისი ჩუმი და დინამიური შემოქმედება. მისი მკვეთრი გონება, მისი რომანტიული გაქანება. ქალთა ნახ-რხევაში ვაჟთა გიჟურ რითმებში,—იგი ხატავს სიხარულსა თუ ტირილს, აღვიძებს ტრადიციებს, ათვისებს მას ახალ თაობას...

ერის ახალ-ახალ ძალებს უფლება ეძლევათ იმღერონ-იცეკვონ, ისინიც ამით მოხერხებულად სარგებლობენ; მათ ხომ ეკრძალებათ თავიანთ სოციალურ, პოლიტიკურ და ეროვნულ უფლებასზე ხმა ამოიღონ, მართველნი გააკრიტიკონ, თავის ბედზე იჩივლონ, საკუთარი გაუიფრება სხვას გაუზიარონ, ადამიანურ პირობების შექმნისთვის ერთი-მეორეს დაუშავშირდენ...

ჩვენი გული იმედით ივსება, როცა ქართულ ფოლკლორის მიღწევებით ვსტკებებით და აღტკინებული ტაშისცემით

ვეგებებით, — სწორეთ ის აღვივებს ჩვენში იმედის ნაპერწკლებს, სწორედ იგი გვახსენებს თბილისის ქუჩებში გამოსულ ახალგაზდობის დაღვრილ სისხლს თავისუფლების დასაბრუნებლად ... არ გვავიწყებს რუსეთის ცივე მხარეებში ვითომდა სამუშაოდ გადაყრილ ახალგაზდობას. მათ მიწა-წყალზე უცხო ოჯახების ჩამოსახლებას, რათა ქართველობა გაითქვიფოს რუსთა მასსაში. ერისგან გრძელდება თავდაცვა კულტურულ ფრონტზე, იგი უცდის შესაფერ პირობებს დაიბრუნოს წართმეული უფლება, აღადგინოს დამოუკიდებელი სახელმწიფო. .  
დ. ხუციშვილი.

### რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წ.

ჯერ კიდევ 1920 წლის დეკემბერში რუსეთს უნდოდა დასცემოდა საქართველოს. მაგრამ მათი სარდალი წითელი გენერალი გეკერი თხოვს გადადებას; წინააღმდეგია ფრონტალურ შეტევის. ის ამბობს თავის ცნობილ მოხსენებაში «ჩვენი მოქმედება ყაზახ წითელ ხიდის მიმართულებით ფრიად უხერხულია... ჩვენი ჯარი იქნება ჩაყენებული კატასტროფიულ მდგომარეობაში». ამიტომ ის თხოულობს დროს და გადაჯგუფებას ჯარისას სომხეთში და იქიდან დავდასხმას საქართველოზე. შემდეგ ის უმატებს თავის მოხსენებაში «... ჩემო ხსენებული განზრახვანი არ მომყავს სისრულეში არა იმისთვის, რომ დაგიმტკიცოთ შეუძლებლობა საქართველოს წინააღმდეგ ვალაშქრებისა, არამედ იმისთვის, რომ მე ვფიქრობ ეს ვალაშქრება უნდა იქნას მოფიქრებულად მოწყობილი...». — ო.

მე-11 წითელ არმიის განკარგულებაშია 7 ქვევ. დივიზია. 5 ცხენოსანი «დივიზია» (არა სრულია რასაკვირველია — მათ ცხენოსან დივიზიაში მხოლოდ 800 ხმალია), სატანკო რაზმი № 2, ჯავშნიან ავტომობილთა რაზმი № 55, საარმიო მძიმე არტილერია № 12, 5 ჯავშნიანი მატარებელი, მისი სადესანტო რაზმებით და სხვადასხვა ტექნიკური ნაწილები, 1 ქვეითი სომეხთა ბრიგადა (5 და 6 პოლკები), 1 ცხენოსანი სომეხთა პოლკი და ამას უნდა მიემატოს ლორის სომეხთა მე-5 კოლონა.

ჩვენი ჯარების განაწილება სამხრეთ აღმოსავლეთის ფრონტზე 11 თებერვალს 1921 წ.:

1. ვორონცოვკის და ჯელალ ოღლის კოლონა: 3 ქვ. ათასეული (გვარდიის), 2 ცხენოსანი ესკადრონი (გვარ.), 2 საარტილერიო ბატარია, 2 ჯავშნიანი ავტომობილი (კოლონის უფ. პოლ. ჩხეიძე).

2. ბომბაკის ნეობა — სანაინ-შინის შავალი-სთან: 2 საარმიო ბრიგადა (5, 7 და 8) 3 ქვ. ათასეული, 2 ბატარია, 2 ცხენოსანი ესკადრონი (უფრ. გენერალი სუმბათაშვილი).

3. ბობაკიარის მთა: 2 ქვ. ათასეული (უფროსი პოლ. გოგიტიშვილი).

4. წითელი ხიდი: 1 ქვ. ათასეული (გვარ.) (უფ. მაიორი ხომერიკი).

5. ფოილოს ხიდი: 2 ქვ. ათასეული (გვარ.), 1 ცხენ. ესკადრონი, 1 ბატარეა, ჯავშნიანი მატარებელი № 4. (კოლონის უფრ. პოლკ. კოდუა).

6. ლაგოდეხი 1 ქვეითი ლეგიონი (მე-6), 1 ბატარეა. (კოლონის უფროსი პოლკ. თავაძე).

საერთო რეზერვი 5 ქვ. ბატალიონი (გვარდ.). 3 საარტილ. ბატარეა, 2 ცხენოსანი ესკადრონი (უფროსი გენ. ჯიჯიხია). ერთი სანაპირო ათასეული იდგა საზღვრებზე პატარ-პატარა ჯგუფებით, თავის სპეციალურ მოვალეობის ასასრულებლათ.

ჯეღალ-ოლიდან ფოილოს ხიდამდე ას ათი კილომეტრია; ამ ვეებერთელა მანძილზე ჩაყენებულია 18—19 ბატალიონი. ჩვენი ჯარი იქმნა გაფანტული სოფელ-სოფელ «კორდონებთან». სტრატეგიამ «კორდონული» სისტემა დიდი ხანია რომ უარყო. მთავარი მიზეზი ამ სისტემის შემოღებისა იყო სომხების მე-5 კოლონის დაშინება. ამ დანაწილებით ისარგებლა გეკერმა და მოულოდნელათ ღამით 11—12 თებერ. დაესხა ჩვენ ჯარს ადგილობრივ სომხების დახმარებით. ჩვენდა საუბედუროთ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. მოხდა გასაშტერებელი ამბავი. ბორჩალოს მაზრა სამხედრო მდგომარეობაში იყო გამოცხადებული, ჯარი კი მშვიდობიან მდგომარეობაში გადაყვანილი, სრულიად უდარდელ მდგომარეობაში ჩაყენებული თითქოს ისინი მოსულია მანიოვრებიდან და დანაწილებულია დასასვენებლათ... იმავე ღამით რუსები ერთი დაკვირით ხელს იგდებენ ბომბაკის ხეობას სადახლოში.

12 თებერვალს მტერი გამოდის სადახლო-შულავერის მიმართულებით. 13 თებერვალს გენ. ი. კედევანიშვილი გადადის მოუმზადებლათ კონტრ-შეტევაზე. მარჯვენა შემტევი კოლონის უფროსია გენ. სუმბათაშვილი (5 ქვ. ბატალიონი). მარცხენას გენ. ჯიჯიხია (4 ქვ. ბატ.). გენ. სუმბათაშვილი იწყებს ენერგიულ შეტევას და იქნა სადახლოს მიმართულებით აღებული დიდი მნიშვნელოვანი სიმაღლეები. გენ. ჯიჯიხია ვერ უსწრობს გენ. სუმბათაშვილის ფრონტს, ვინაიდან მას შეხვდა ფრიად ძნელი გადასალახავი მთები. ძლიერი ბრძოლის შემდეგ გენ. ჯიჯიხიას მარცხენა ფრთამ იერიშით აიღო კიხილ-კაიას სიმაღლეები, რომელიც ბატონობდა სოფელ კეპერლიზე.

14 თებ. მტერი გადმოდის კონტრ-შეტევაზე, ვინაიდან მას მოუვიდა ახალი დივიზია დასახმარებლათ. ღამის იერიშებით წინ წაწეულ ჩვენ მარჯვენა ფრთას (გენ. სუმბათაშვილს) ართმევს სადახლოს პოზიციებს. შემდეგ უტევს ჩვენ მარცხენა ფრთას (გენ. ჯიჯიხია), პოზიციები მარცხენა ფრთაზე შენარჩუნებული იქმნა: გენ. სუმბათაშვილი იძულებულია დაიხიოს უკან მდინარე ხრამის მარცხენა ნაპირზე და იქ გამაგრდეს (ამ

დახვევაში კარგავს ერთ ბატარეას). ვინაიდან მარჯვენა ფრთა მთლიანათ გაშიშვლდა. გენ. ჯიჯიხიაც იხევს მდინ. ხრამის მარცხენა ნაპირზე. 15 თებერვალ ჯარი ზემო ხსენებულ პოზიციებზე დგას.

ჩვენი ჯარების შეტევა იყო ფრიად ნაჩქარევი. მოუზნადებელი. საზოგადოთ კი ერთათ ერთი საშველი ჩვენი პატარა ჯარის მაშინ იყო დაყაირათება მისი შორს უკან და მისი ყოლა ერთ მუშტათ. ეს მას უთუოთ ააშორებდა იმ ხიფათს, რომელიც ჩვენ ჯარს დაატყდა თავზე. გამართლდა გეკერის სიტყვები «... გალაშქრება (საქართველოზე) უნდა იყოს მოფიქრებულათ მოწყობილი»-ო. ე. ი. შეთანხმებული ერთდროული დარტყმა წითელ არმიის და სომხების მეხუთე კოლონის.

ლამით 11—12 თებერვალს წითლები და სომხები აპირებენ თავდასხმას ვორონცოვკის რაიონში პოლკ. ჩხეიძეს კოლონაზე. კოლონა შეხვდა მომზადებული და მათი განზრახვა ჩაიშალა. ყველა იერიშები მოგერიებულ იქმნა და დიდი ზიანიც მიყენებული. განსაკუთრებით სოფ. ნოვო-პოკროვკასთან იქმნა განადგურებული მთელი რუსების კოლონა (ამ ბრძოლას უშუალოთ ხელმძღვანელობდა—კაკკასიის ფორნტზე—მე-4 კორპუსში სახელგანთქმული პოლკოვნიკი მიშა იმნაძე). საერთო მდგომარეობის ვამო ეს კოლონა იხევს ბრძოლით უკან ეკატერინეფელდ-არახლოს მიდამოებში. შულავერიდან გამოსულმა მტერმა გადაუჭრა გზა. მოკლე ბრძოლის შემდეგ ამ ჯარის ნაწილმა გააპო მტერი და გავიდა სანდარის მიდამოებში. ნაწილი კი პატარ-პატარ ჯგუფებათ მიდიან კოჯორისაკენ. ამ ბრძოლაში, ამ კოლონას ეკარგება ერთი ბატარეა და ერთი ჯავშნიანი ავტომობილი.

16 თებერვალს გათენებისას, ძლიერი ჯარი, ცხენოსანი და ჯავშნიანი ავტომობილები უტევეს წითელ ხიდს (მე-20 მსროლელი დივიზია, ცხენოსანი დივიზია და ჯავშნიან ავტომობილთა რაზმი № 55—უფროსი წით. გენერალი ველიკანოვი). წითელ ხიდზე ერთი ბატალიონი იდგა (გურიის). ეს ბატალიონიც «კორდონებათ» იყო დანაწილებული. ასეულები 7 კილომეტრზე მოშორებული ერთმანეთს. რასაკვირველია მტერმა ადვილათ გაანადგურა ის. მხოლოთ ამ ბატალიონის მე-2 ასეული იდგა მტკვართან. ალყა შემორტყმული ან უნდა ჩაბარებოდა მტერს, ან უნდა ცურვით გასულიყო მტკვარში. ტყვეობას ამჯობინეს წყალში გადაცვენა. ბევრი დაიხრჩო. უმრავლესობა მაინც გადაარჩა და შემოუერთდა იმერეთის მე-2 ბატალიონს, რომელიც მოქმედებდა ფოილოზე.

16 თებერვალს გათენებისას მტერი ეძგერა ფოილოს ხიდს. აქ იმერეთის მე-2 ბატალიონი მომზადებული დახვდა მტერს. რუსების შემტევი ნაწილები ფოილოს ხიდზე: მე-9 მსროლელი დივიზია (უფროსი კუიბიშევი), ცხენოსანი ბრიგადა (უფროსი კუროჩკინი), ხუთი ჯავშნიანი მატარებლები (№ № 7, 94, 77, და 61), სატანკო რაზმი № 2—ამ რაზმიდან მოქმედებ-

ში იყო მხოლოდ სამი ტანკი B—5, B 9 და «ვ ჩომ დელო». აი როგორ აგვიწერს წითელი რუსი კომანდირი ვინმე ზუნი ამ ბრძოლას: «... დარჩეული გვარდიელები იცავდნენ ხიდს და მათი გუშაგები, შუა ხიდზე იდგნენ... მეცხრე დივიზიის მე-26 ბრიგადის უფროსის ბრძანებით ჯავშნიანმა № 77 (უფროსი ბოლშევიკი ხმალადე) დაუშინა ყუმბარები მტრის ნაპირს. მე-26 ბრიგადის ბატალიონები და ჯავშნიანი მატარებლები ეძებრენ ხიდს; იმ მომენტში, როდესაც მოწინავე მებრძოლებმა გადაიბრინეს ხიდი და შეებრძოლენ ქართველებს, მოისმა საშინელი ზედიზედ სამი აფეთქება და მალეა ცაში ავარდა სვეტები კვამლის...»

«... გვარდიელები გამოვიდნენ თუ არა ჯავშნიან მატარებლების ცეცხლიდან, აძვრენ თავის სანგრებში და ტყვიამფრქვევების და თოფის ცეცხლით შეაჩერეს მოძრაობა ხიდის ირგვლივ... ცხენოსანი ჯარი ორჯელ გადმოვიდა ფონით ჩვენ ნაპირას. გვარდიელებმა დაამარცხეს და უკან გადაარეკეს. შიხილოსთან გადმოვიდა მტრის ცხენოსანი ჯარი— მას დახვდა აქ პოლკ. კოდუა თავისი ზუგდიდის ბატალიონით, დაამარცხა და გადაარეკა უკან.

წითელ ხიდის აღების შემდეგ ველიკანოვის ჯარები ეძებრენ სანდარას, ესე იგი ჩვენ მარცხენა ფრთას. ამ მდგომარეობამ გამოიწვია ჩვენ ჯარში არევა-დარევა. არევა-დარევა მით უფრო გაძლიერდა, რომ მტრის ცხენოსანი ნაწილები დაემუქრა ჩვენ ზურგსაც. ამ მდგომარეობამ გამოიწვია უწესრიგო უკან დახვევა—თბილისისაკენ.

ამით თავდება პირველი ფაზა ჩვენი ბრძოლების სახელმწიფო საზღვრებიდან თბილისამდე, რომელიც არის მთავარი მიზეზი ჩვენი დამარცხებისა.

16 თებერვალს ინიშნება ახალი მთავარსარდალი გენერალი გიორგი კვინიტაძე.

თბილისისაკენ მტერს კარი გაღებული აქვს. ორი გზა უდევს მას წინ კოჯორის და შავნაბადა-სოლანლულის. პირველი გზა გადის კლდიან მიდამოებში, მეორე კი მიდის გაშლილ ადგილზე. რასაკვირელია მტერი ამოირჩევს ამ მეორე გზას. მტერი დიდი სიფრთხილით და ზანტად მიიწევს სოლანლულისკენ. ასე რომ მან სამ დღეში გააყვთა სულ ოცი კილომეტრი და სოლანლუდთან აღმოჩნდა ის მხოლოდ 18 თებერვალს საღამოს. ამ სამ დღეს მისცა საშვალება გენ. კვინიტაძეს მოეწესრიგებია დახეული ჯარი და ახალი მოეყვანა, რომელნიც მოხდენილად გაანაწილა დედა-ქალაქის დასაცავათ.

18 თებერვალს დილით თბილისის კედლებთან უკვე ძალებია ამართული. მტრის დასახვედრად ყველაფერი მზად არის.

მარჯვენა სექტორი ჩაებარა გენერალ ანდრონიკაშვილს— კოჯორიდან-კოჯორის წაყოლებით, თელეთის მონასტერთან აღნიშნულ ტრიგონომეტრიულ პუნქტამდე. მის განკარგუ-

ლებაშია: სამხედრო შკოლა I ბატალიონი, მე-10 ათასეული, I-ლი ათასეული და ნახევარი ბატალიონი მე-4 ათასეულისა, მესხნგრეთა ერთი ბატალიონი, შემდეგში მე-5 ათასეული და 4 გვარდიის ბატალიონი.

შუა სექტორის (სოღანლუღის) უფროსად დანიშნულია გენერ. მაზნიაშვილი. მის განკარგულებაშია: მე-9 ათასეული, სადარაჯო ათასეული, სანაპირო ათასეული, ორი ქართლის გვარდიის ბატალიონები (გორის და ხაშურის), I გვარდიის ბატალიონი (არა სრული) და ბოლოს მე-7 ათასეული. გვარდიის მძიმე ტყვიამფრქვეველთა ბატალიონი, 5 ბატარეა, ჯავშნიან ავტომობილთა გუნდი და ჯავშნიანი მატარებელი №3. მისი უბანი იწყება თელეთის ტრიგონომეტრიულ პუნქტიდან მტკვრამდე.

ორხევის სექტორი—გენერალი ჯიჯინია. იწყება მტკვრიდან სოფ. არაჯანა-პავლიას მთამდე. ეს პოზიციები 18 თებერვლიდან ეჭირა იმერეთის მეორე და ზუგდიდის გვარდიის ბატალიონებს. რეზერვში იყო დუშეთის გვარდიის ბატალიონი (არა სრული), I ბატარეა და ჯავშნიანი მატარებელი №4. სოფელ ლილოში იდგა ორი ჩვენი ცხენოსანი პოლკი.

ბრძოლა სოღანლუღთან 18 თებერვალს.

სალამოს 10 საათზე მტრის მოძრაობა აღმოჩენილი იქმნა. ის მოდიოდა გზატკეცილით; იალღუჯის მთებით ჩამოეშვა და მტკვრის ახლოს გაჰყვა გზატკეცილს და მიემართება სოღანლუღისკენ. მიზანი მათი მოძრაობის აშკარაა: ღამით მიიტანოს იერიში სოღანლუღის პოზიციებზე და ხელთ იგდოს ის და მისი მიდამოები. რუსების შემტევი კალონა სოღანლუღის მიმართ: სამი ქვეითი დივიზია, ერთი ცხენოსანი «დივიზია», ჯავშნიან ავტომობილთა რაზმი № 55, საარმიო მძიმე არტილერია № 12. წითლების შემტევ ჯარების უფროსათ დანიშნულია მე-20 ქვ. დივიზიის უფროსი ველიკონოვი.

ღამის ათ საათზე გორის გვარდიის მხვერავებმა, რომელნიც იყვნენ სანგრების წინ ხუთი კილომეტრის მანძილზე, დაბრუნდნენ და აცნობეს მტრის მოახლოება. ჩვენი ჯავშნიანი ავტომობილებიც მობრუნდნენ და დაადასტურეს ეს ცნობა.

სოღანლუღის სიმაღლეები ეკავა სადარაჯო ათასეულს, ლიუნეტი პირველ ქართლის ბატალიონს (გორის გვარდია), ბატალიონი სრული შემადგენლობის იყო. სადარაჯოელების და გვარდიელების შუა სადაც გადის რკინის გზა დაბლობებია და ბაღებითაა მოფენილი ეკავა სანაპირო ჯარის ერთ არა სრულ ბატალიონს ორი საველი ზარბაზნით. იმავე საღამოს გენ. მაზნიაშვილს მოუვიდა მის განკარგულებაში გვარდიის მძიმე ტყვიისმფრქვეველთა ბატალიონი პოლ. შარაძეს უფროსობით. ვინაიდან სადარაჯო ათასეულს ცოტა ქონდა ტყვიამფრქვეველი—სამი ასეული ესე იგი 30 მძიმე ტყვიამფრქვევით

იქნა გავზავნილი სადარაჯო ათასეულში. 10 ტყვიამფრქვევი იქმნა გავზავნილი გორელებთან.

გენ. მაზნიაშვილი ღამის 11 საათზე მდგომარეობის გასაცნობათ გაემართა გორელთა სანგრებისაკენ. ბატალიონის უფროსმა მაიორ ედიშერაშვილმა პატაკი გაუკეთა. გაათავა თუ არა პატაკი, რომ გაჩნდა სროლა. მტერმა პირველი იერიში მოიტანა გორელებზე. იერიში მოიგერიეს. სანაპირო ათასეულზე მტერმა მიიტანა იერიში, მტრის სიმრავლის გამო სანაპიროელებმა ვერ გაუძლეს მტერს. მტერმა აიღო მათი სანგრები და ხელთ იგდო ორი ჩვენი ზარბაზანი. მტერი გამოვიდა რკინის გზაზე და სადგური სოღანლული ღამის ხელში ჩაიგდეს (იქ შტაბია გენერ. მაზნიაშვილის). მაგრამ აქ გამოჩნდა ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი № 3, რომელმაც თავის ცეცხლით მტერი არ შემოუშვა სადგურში. ამავე რეზერვში მყოფი გვარდიის ათასეული და ჯავშნიანი ავტომობილები ეძგერენ მტერს. გაწმინდეს რკინის გზა. მტრის ხელში დარჩა მხოლოდ რკინის გზის მარჯვნივ მდებარე ბალები.

გორელების ლიუნტზე მტერს იერიში იერიშზე მოაქვს, მაგრამ უშედეგოთ. მტერმა გაშალა მთელი თავისი ძალები და მიიტანა იერიშები სადარაჯო ათასეულზე. ათასეული გაძლიერებული პოლკ. შარაძეს ტყვიამფრქვევებით დიდ ზიანს აყენებს მტერს.

შავნაბადაზე მტერი აწარმოებს მხოლოდ დემონსტრაციას. ეს მიდამო ეჭირა მე-9 ათასეულს, რომლის უფროსმა აიგდო მტერი, ჩასვა სანგრებში ათასეულის ორკესტრი და ბრძოლის დროს სამხედრო მარშებს აკრევივინებდა.

მტერმა თავის უკანასკნელ რეზერვის დახმარებით მიაწვა სადარაჯოს ათასეულს. მაგრამ ამაოთ, ცეცხლით იქმნა გაფანტული. ღამის ორი საათი იქნებოდა, სადარაჯოს ათასეულის პოზიციებზე სროლა შესწყდა, მაგრამ გორელების ლიუნტეს გარშემო ბრძოლამ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო.

ღილის სამ საათზე გენ. მაზნიაშვილი გადადის სადარაჯო ათასეულის სანგრებში. ღამით მტრის მიერ მოტანილი იერიშები დამარცხდა, მაგრამ დამარცხებული ჯარი არ იხვეს უკან. მას მხოლოდნელია იერიშები განთიადზე. ეს კი არ გამართლდა. როცა ირიჟრაჟა, ჩვენ ჯარს გადაეშალა შემდეგი სურათი: ბრძოლის ველი მოფენილია მკვდრებით და დაჭრილებით. სადარაჯო ათასეული და შარაძეს გვარდიელები გადადიან კონტრ-შეტევაზე. ამავე დროს გორის გვარდიაც ამოცვინდა თავის სანგრებიდან და ეძგერა მტერს. მტერი გარბის იაღლუჯისაკენ. ბალებში მოკალათებული რუსები იქმნა განადგურებული და ჩვენი ზარბაზნები უკან დაბრუნებული. ამ მტრის კოლონის განადგურებას უშუალოთ ხელმძღვანელობდა სამშობლოხთვის თავდადებული ვალიკო ჯუღელი. სადარაჯო ათასეულის წინ იყო ღრმა და გრძელი ღრე რომელიც ირიბათ მიდიოდა სადარაჯო ათასეულის მარცხენა

ფრთისკენ. ღრეს სიგრძე არის ერთი კილომეტრზე მეტი. ამ ღრეში ჩაძვრა ნაწილი იერიშის მიმტანი დამარცხებული მტერი. ეს ღრე გახდა მათთვის ნამდვილი ხაფანგი. ჩვენმა ჯარმა არ ამოუშვა ზევით. მტრის ცხენოსან ჯარმა სცადა მათი ხსნა, მაგრამ ჩვენი არტილერიის და ჯავშნოსნების ცეცხლმა ის გათანტა. კონტრ-იერიშზე გადასულმა სადარაჯო ათასეულმა ხელთ იგდო ისინი და ტყვეთ წამოიყვანეს (1.600 კაცი).

დამარცხებული ველიკონოვის შემტევი დივიზიები ფრიად დაზიანებული იხვევენ იალღუჯის მთაზე.

18 თებერვლის ღამეს საქართველომ პირველი გამარჯვება მოიპოვა. აქ დამარცხებულ მტერს შემდეგში აღარ გაუმეორებია შეტევები.

19 თებერვალი. წითელმა სარდლობამ გადააჯგუფა მისი ძალები ვაშლოვან-კუმის მიდამოებში და ამოძრავდა ტაბახმელა-კოჯორის მიმართულებით. ეხლა მტერმა კარგად დააფასა ტაქტიკური მნიშვნელობა ამ მიმართულებისა. ტაბახმელა მან თუ აიღო, მთელი ოპერაცია გათავდება. მტერმა მთელი ძალებით გენერ. ანდრონიკაშვილის ფრონტს მოაწვა. ბრძოლის პირველ დღეს იყო აქ მეტად მწვავე წუთები, რუსებმა მიიტანეს მთელი ფრონტის სიგრძეზე მძლავრი იერიშები. უკუ ავდეს მარჯვენა ფრთაზე მეოთხე ათასეულს ნახევარი ბატალიონი—აიღეს კოჯორი, დაეშვენ დაბლა და მთელ მარჯვენა ფრონტს ზურგში მოექცენ. მაგრამ პოლკოვნიკ ჩხვიძემ (მაშინ დროებით შკოლის უფროსი) მცირე ერთეულებით კონტრ-იერიშით მტერი შეაჩერა. მოვიდა მაშველი ჯარი გენ. კვინიტაძიდან: მე-5, 1-ლი და მესანგრეთა ათასეულები, გვარდიის 4 ბატალიონი (ბათუმის, იმერეთის მესამე და თბილისის ორი).

გვარდიამ შეუტია მტერს (აქაც ვალიკო ჯუღელია) 19—20 თებერვალს აიღო კოჯორი და სდია მტერს ქოროლის ციხემდე. თვით ტაბახმელაზე მტრის იერიშები არ შეწყვეტილა. ბრძოლა იერიშებით და კონტრ-იერიშებით განუწყვეტილ გრძელდებოდა 19 და 20-ში. იუხკრები ლომებივით იბრძოდნენ. მას ბაძავდნ ახალგაზდა ჯარისკაცები.

შკოლის უკან მოქცეული რუსის ბატალიონი გაანადგურა გვარდიელებმა და ერთმა ასეულმა მეხუთე ათასეულის. მეათე ათასეულის პირველმა ასეულმა მამაცური იერიშით ხელთ იგდო მტრის ოთხი საველე ზარბაზანი და ჯავშნიანი ავტომობილი.

21 თებერვალს გენ. ანდრონიკაშვილის ფრონტზე ბრძოლა მიწვდოდა. რუსის ჯარი ჩვენ მებრძოლ ხაზს დაშორდა და გადაჯგუფდა ს. კუმის, ვაშლოვანის და ერთვისის ხაზზე.

გენ. ანდრონიკაშვილის ფრონტზე მეორეთ გავიმარჯვეთ.

19 თებერვალს ორხვეის სექტორში გამოჩნდა მტერი. 19—20 თებერვლამდე აქ მხოლოდ საარტილერიო ბრძოლაა

და უმნიშველო შეტაკებანი პატარა მოწინავე ორივე მხრიდან ქვეითი ჯგუფების. საერთოთ მტრის ქვეითა ჯარი იდგა ფრიად მოშორებით. 21 თებერ. აღმოჩნდა მტერს უნდა შემორება ჩვენ მარცხენა ფრთის. ამიტომ გენ. კვინიტაძემ დააგროვა ს. ლილას მიმართულებით 5—6 გვარდიის ბატალიონები (არა სრული) და იქ მდგომი ორი ჩვენი ცხენოსანი პოლკი და დილით გადავიდენ შეტევაზე. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა შემოუარა მტერს; ამავე დროს ქვეითა ჯარმა იერიში მიიტანა მათზე. მტერმა იწყო უკან დახევა, შეამჩნიეს თუ არა ორხევის სანგრებში მდგომ გვარდიის ბატალიონებმა (იმერეთის მე-2 და ზუგდიდის) ამოცვივდენ სანგრებიდან და ფრონტალური იერიში მიიტანეს მტერზე. მცირე წინააღმდეგობის შემდეგ მტერმა დაიწყო უკან დახევა, პირველათ წესრიგით, მერმე სრულ უწესრიგოთ (ორხევის სექტორის წინააღმდეგ მოქმედებდა რუსების მე-9 მსოფელი დივიზია). გვარდიელები მისდევდენ მტერს ფეხდაფეხ, სანამ არ დაბნელდა. ღამემ შეაჩერა წინსვლა. ჩვენმა ჯარმა ამ დღეს წაიწია წინ 10 კილომეტრზე მეტი.

ეს იყო მესამე გამარჯვება.

ამაირად ბრძოლები თბილისთან დაიწყო 18-ში და გასტანა 22 ჩათვლით. რუსები მარცხდებიან. ისინი კარგავენ ტყვეებს და სამხედრო მასალას, წინ ვერსად იწევენ. პირიქით ორხევის სექტორმა წაიწია ათი კილომეტრით.

23 თებერვალს რჩებიან წინ წაწეული. 23 ღამით თანამათ ბრძანებისა იხევენ უკან თავის ძველ სანგრებში. მოტივი დახევის იყო—გამოჩენა ახალ ცხენოსან «დივიზიის» ჩვენ მარცხენა ფრთაზე (მე-12 ცხენოხანთა დივიზია. უფროსი ულბა).

24 თებერვალს ჩვენ სამ მებრძოლ სექტორს ემატება ლილას სექტორი და უფროსად ინიშნება პოლკ. გედევანიშვილი. დილით 24 თებერვალს ის უნდა გადასულიყო შეტევაზე. დღის 12 საათზე უნდა დაეწყო შეტევა ორხევის გარნიზონს. მაგრამ გედევანიშვილი შეტევაზე არ გადავიდა. მოტივი—ძლიერი ცხენოსანი ჯარი უვლის ჩემ ფრთასო. მიატოვა უბანი და გაექანა მთავარსარდლის შტაბში მდგომარეობის «ასახსნელათ».

ამავე დღეს გამოჩნდენ ორხევის სექტორში ხუთი ჯავშნიანი მატარებლები და სატანკო რაზმი. მტრის ქვეითა ჯარმა რამოდენჯერმე მოიტანა იერიში ორხევის სანგრებზე. იერიშები იქმნა მოგერიებული. 4 საათზე ორხევის მიდამოებს მოედო ბურუსი, ამ ბურუსში სენაკის და ზუგდიდის ბატალიონებს მოადგა სამი ტანკი (ნომერაცია მათი ზევითაა მოყვანილი) და უკან მას მოსდევდა მეცხრე ქვ. დივიზიის მე-70 ქვ. პოლკი. სანგრებში გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა. რამოდენიმე ხნის შემდეგ რუსებმა გვარდიელები ამოყარეს და მათ სანგრებს დაეპატრონა მე-70 ქვ. პოლკი.

ორხევთან რეზერვში მდგომ იმერეთის მეორე ბატალი-

ონს მოუვიდა ბრძანება კონტრ-იერიშით დაებრუნებია ჩვენი სანგრები. ბატალიონმა წარმატებით აწარმოვა კონტრ-იერიში—ჩვენი სანგრებიდან ამორეკა რუსების პოლკი—იმ დამით დაედევნა მათ. დევნის დროს ტანკი «ვ ჩომ დელო» გადავარდა ხრამში და დაზიანდა. ესე იგი წყობილებიდან იქნა გამოყვანილი.

მიზანი მტრის მოქმედების მტკვრის მარცხენა ნაპირზე: მოატყუოს ჩვენი მთავარსარდალი და გადააჯგუფოს მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან მარცხენაზე მისი ძალები, რომ ისევ მოიტანოს იერიში ტაბახმელასა და სოლანლულზე, რაჟამს იქიდან გაიყვანდნენ ჯარის ერთ ნაწილს და გააგზავნიდნენ ორხვეში. მაგრამ ის ამაში სტყუევდება. და 22 თებერვალს ვაზინის მიდამოებში დამარცხება იგემა.

დეკმა 24 თებერვალი. მტერს იერიშები დილიდანვე მოაქვთ გენ. ანდრონიკაშვილის, გენ. მაზნიაშვილის და გენ. ჯიჯიხიას ფრონტებზე. განსაკუთრებული ცხარე ხასიათის ბრძოლებია გენ. ანდრონიკაშვილის სექტორში—თითქმის მთელი დღის განმავლობაში ხელჩართული ბრძოლაა. განსაკუთრებულ როლს თამაშობს ამ ბრძოლებში ჩვენი იუნკრების მამაცური მოქმედება და თავდადება. ამასთანავე ერთაათ ჩვენი ჯარისკაცების და გვარდიელების. რომლებიც ლომებივით იცავდნენ თითო ტკაველას თავის სანგრებისას.

გენ. მაზნიაშვილის ფრონტზე საღამოს 6 საათზე მტერმა გაარღვია ჩვენი პოზიცია და დაიკავა ტრიგონომეტრიული პუნქტი. მე-9 ათასეულის და პირველი ათასეულის 2 ასეულის კონტრ-იერიშით შემოხსენებული პუნქტი კვლავ დაიბრუნა ჩვენებმა.

გენ. ჯიჯიხიას ფრონტზე 24-ში თუ რა მოხდა ზევით არის აღწერილი. ე. ი. ტანკების მიერ ფრონტის გარღვევის შემდეგ, ჩვენ კონტრ-იერიშით უკან დაეიბრუნეთ დაკარგული სანგრები.

24 თებერვალს მტერს არცერთი მტკაველა ჩვენი მიწისა არ დაუკავებია. მორალი ჩვენი ჯარის ფრიად კარგია—24-ის ბრძოლებში ჩვენ გავიმარჯვეთ. ეს ბრძოლები ჩვენ სამხედრო ისტორიისთვის სანიმუშოა.

მე-11 არმიის უფროსმა ნამეტანი გაშალა თავის ძალები კოჯჯორიდან ვაზიანამდე, რომლის სიგრძე აღემატება 50 კილომეტრს. მას არ აქვს არც ერთ ალაგას მისი ფრონტისა ის სიღრმე, რომელიც შეადგენს აუცილებელ პირობას გამარჯვებისას. მტერს მოაქვს იერიშები არა ფართო და გძელ ხაზებით, არამედ შეზღუდულ ნაკვეთებზე. მისი იერიშების ტალღები არიან მოკლენი და არ არიან ხანგრძლივი, ესე იგი ტალღა-ტალღას არ მოსდევს, სიღრმის უქონლობის გამო. დაქსაქსული მტერი თვითონ ამზადებს თავის დამარცხებას. ცნობილია, რომ მოგერიებაში ხაზი ყველგან გასატეხია.

მაგრამ თბილისთან არც ერთხელ არსად მოხდა ეს; მტერმა წვრილი ხაზიც ღრმად ვერსად შეტეხა—ზემოხსენებულ მიზეზების გამო.

გეკერიის არმიის მდგომარეობა თბილისთან ამ დამარცხებების შემდეგ ფრიად მძიმეა. მას დაემატა აჯანყება სომხეთში, ესე იგი, ზურგში. აჯანყებულმა სომხებმა ერევანი აიღეს.

რუსის ჯარმა დაიხია უკან ქ. გერუსიასკენ. აჯანყებულმა სომხებმა ალყა შემოარტყეს მას. გეკერი გზავნის მათ დასახმარებლად და აჯანყების ჩასაქრობათ თავის რეზერვიდან ერთ ქვ. დივიზიას. მის მაგივრათ გეკერთან მოდის დასახმარებლათ როსტოვის კურსანტების (წითელი «იუნკრები») ბრიგადა (რომელიც იქმნა დამარცხებული ტაბახმელაზე ჩვენი სახელოვანი იუნკრების მიერ).

გეკერიის არმიამ თუ დაიხია უკან სულ განადგურდება, რომ ამას აცდეს წითლების სარდალი იყენებს თავის ცხენოსან ჯარს. მარცხენა მთას უვლის ერთი ცხენოსანი «დივიზია» (800 ხმალი) და მისი ერთი ნაწილი კიდევაც გამოვიდა ავჭალაში. რაც განდევნილი იქმნა.

მარჯვენა მთას უვლის ერთი ცხენოსანი «დივიზია». მანგლისიდან მისი ნაწილები გამოჩნდნენ სხვადასხვა სოფელში.

ჩვენი მთავარსარდალის მდგომარეობა ფრიად მძიმეა, მიუხედავად გამარჯვებისა. მის არმიის ორივე ფრთებს ემუქრება მტრის ცხენოსანი ჯარი. რეზერვები არ არის. მას აქვს სამი არჩევანი, რომლიდან მხოლოდ ერთი უნდა აირჩიოს:

- 1) გადასვლა შეტევაზე (დიდი რისკია).
- 2) ბრძოლა თბილისთან, თბილისის ქუჩებში (მოსალოდნელია ტყვეობა).

- 3) დატოვება თბილისის და ბრძოლა მის დასაბრუნებლად.

მთავარსარდალმა გენ. კვინიტაძემ გადაწყვიტა თბილისის დატოვება და საქმის კურსში ჩააყენა მთავრობის თავმჯდომარე.

ლამით 24 თებერვალს მთავარსარდალმა უბრძანა საქართველოს ლაშქარს უკან დახევა მცხეთაზე...

თბილისი 25 თებერვლამდე ჩვენთვის იყო ხტრატეკია.

25 თებერვლიდან თბილისი ჩვენთვის ხდება ტაქტიკათ.

ამით თავდება მეორე ფაზა ჩვენი ბრძოლების რუსეთის წინააღმდეგ 21 წელში.

ა. კვიციანიძე,  
იმერეთის მეორე ბატალიონის  
ყოფილი უფროსი.

16 თებერვალი 1958 წ.

პარიზი.

მხროვნის სოციალისტები  
და საბჭოთა კავშირი.



ომის გათავების პირველ ხანებში შექმნილი პოლიტიკური ფსიხოზი გამქრალია. მოსკოვის პოლიტიკური მართვლობის სისტემა და მის მიერ შექმნილი სამოთხე ყველასათვის ცნობილია. კომპარტიის რიგები სუსტდება საბჭოთა წყობილების თანდათან გაცნობის შემდეგ. საინტერესოა, კატეგორიული ჩასიათის პოზიცია, ნათელი და საღი მიდგომა, რომელსაც იჩენს საფრანგეთის სოციალისტური პარტია. მაგალითისათვის მოგვყავს ამა წლის 17 იანვრის «პოპულერი». პასუხი «პრავდა»-ს მუდმივ პროპაგანდაზე—მწვიდობიანობის მიღწევისათვის—მუშათა დემოკრატიული ძალების გაერთიანებაა საჭირო.

«პოპულერი» უსურვებს თვით რუსეთში ორგანიზაციების დარაზმვას და შემდეგ ღონისძიების გატარებას.

მწვიდობიანობისათვის—მიიღოს საბჭოთა მთავრობამ სრულ უფლებიანი კონტროლი განიარაღების მისაღწევათ. მიეცეს თავისუფლება დაპყრობილ ერებს, როგორც საბჭოთა კავშირში შემავალს ისე ცენტრალურ ევროპაში. თავისუფლება სიტყვის, წერის, კრების, გაფიცვის. თავისუფლება რწმენის, ნორმალური დამოუკიდებლობა ეკლესიას და სახელმწიფოს შორის. თავისუფლება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების არსებობის. საბჭოში ასარჩევ დეპუტატების კანდიდატების წამოყენება დემოკრატიული წესით. თავისუფლება ყველა მოქალაქისათვის სახელმწიფოებრივ მოგზაურობის გაუქმება გამასწორებელი სამუშაო ლაგერების. გაუქმება არა ადამიანური ჩვეულების მძევლის ყოლა და სხვა... გაუქმება 1944 წ. 8 ივლისის კანონის უკანონო შეიღის შესახებ. გაუქმება შინაური პასპორტის და თავისუფალი მიმოსვლა მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. გაუქმება პოლიტიკური კონტროლის ჯარი. რეგულიარული წლიური შევბულება და ჯამაგირის მომატება ჯარისკაცებს. სასამართლოში. პატიმრისათვის ვეჟილის აყვანის უფლება. გაუქმება საიდუმლო პოლიციის. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შექმნა. სიკვდილით დასჯის გაუქმება. პოლიტიკური გაცვეთილის გაუქმება სასწავლებელში. სამოსწავლო პროგრამის შედგენა მხოლოდ პედაგოგების მიერ. ახალგაზრდა მუშებისათვის სალამოს კურსების შემოღება ხელფასის შენახვით. ლიტერატურის და ხელოვნების სრული თავისუფლება. უფლება მწერლებს და ხელოვნებს თავისუფალი მოგზაურობის უცხოეთში. უცხოეთის ჟურნალ-გაზეთების შექმნა და მისი თავისუფლად გავრცელება საბჭოთა კავშირში. თავისუფალ კავშირის დაარსების უფლება, როგორიცაა ლიტერატურული, თეატრალური, მუსიკური. მხატვრული, მეცნიერული თუ სხვა მუშაკთა დაჯგუფებანი. პარტიულ-სახელმწიფო ცენზურას

გაუქმება. პედაგოგისათვის, შემავიწრობელ ზომების მოხსნა, როგორცაა კომსომოლის კონტროლი და სხვა...

ზემო ხსენებულს ახლავს მრავალი სხვა წერიმალე ფრიად საინტერესო მუშაობები. ამ მოთხოვნების განხორციელება ნიშნავს საბჭოთა დიქტატურის ლიკვიდაციას. სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანო არავითარ ილიუზიებს არ ეძლევა. იგი მხოლოდ ააშქარავებს ევროპის საზოგადოებრივი აზრის წინაშე საბჭოთა კავშირის სახეს. მკითხველს მიუთითებს (საბჭოთა კავშირის) მთელ რიგ იმპერიალისტურ მოქმედებებზე 20.21.25.30 იანვარი და იკონებს—ვორკუტა, თბილისი, აღმოსავლეთ ბერლინი, პოზნანი და ბუდაპეშტში დაღვრილ სისხლს.

მ. ქ.

### ვალეკო ჯუღელის ხსოვნას.

(ჩემი მიჯნუნიდან)

პარიზის მუშათა უბნის ერთ ღარიბულ სასტუმროში.—საქართველოს ჯალათებისგან აწ განგმირულ ჩემი საუკეთესო მეგობრის ვიქ. ცენტრატესთან ერთად ვცხოვრობდი. მიიმე და უჩვეულო შრომისგან დაღლილები, საღამოებით ჩვენგან განვლილ ტრადიკულ დღეებს ვიკონებდით: ჩვენი ფიჭრი და გონება შეპყრობილი იყო ჩვენი ქვეყნის აწმყო ვითარებით... ვიქტორი ემზადებოდა წასასვლელად. გვემას აწყობდა. ჩვენს მომავალ სამშობლოში შეხვედრაზე ოცნებობდა და მაქვებდა...

ერთ-ერთ საღამოს ვალიკო გვესტუმრა. შემოსვლისთანავე ხელთათმანევი წაიძრო. მაგიდაზე დააგდო და განრისხებულნი კილოთი დაიწყო საყვედური: «რას მომჩერებია ეს კაცი, მე თვითონ ვიცი როგორ მოვიქცე». ამის თქმაზე შეჩერდა. თითქოს ვილაცას მოერიდა. გადმოხედა, მე ის მენახა ნეთლულის შტაბში—ისიც ღამით მწარე დღეებში. მაგრამ ძალიან ახალგაზრდას მასთან კავშირი არ მქონებია. ვიქტორი მიხედა რომ ვალიკო ერიდებოდა ჩემთან ლაპარაკს და მთხოვა დაბლა ჩავსულიყავი პურის ამოსატანათ. უსიტყვოთ—დავემორჩილე. რამოდენიმე წუთის შემდეგ, როცა მაღლა ამოვივიდი, სჩანდა ვიქტორს რალაცები ეთქვა ჩემზე. ვალიკო გამზიარულებული დამხედა. «მას ვამბობდი—განაგრძო მან.—ზოგიერთი ჩემი მეგობარი მიჩვენს აქ დავგრეს. თავისუფალი ცხოვრება ვარჩიო,—არა ჩემო ძმაო მე ამის უფლება არა მაქვს, იგიც მივჭარე, რომ წამოვედი—ძალით ჩამსვეს გემში.

ჩემი მებრძოლი რანშელები—იქ დავტოვე, მათ უნდა დაუბრუნდე, მათი ხვედრი უნდა გავიზიარო, თუ ჩემი ქვეყნის თავისუფლებას ვერ ველირსე—ბრძოლაში დავეცემი».

ვიქტორმა და ვალიკომ დიდხანს იბაასეს მათ მომავალ მგზავრობაზე. გული ამიყუჩეს. ვალიკომ გადმომხედა: «შენ ბიჭო რა გაჩქარებს მერე წამოხვალ» ღიმილით გადმომხედა. მან აისრულა თავისი სურვილი. მისი მგზებარე გული

სამშობლოს საკურთხეველზე დაიფერდლა, მისი მებრძოლი სული,—თავისუფლების ბრძოლაში დაღუპულთ შეუერთდა, რომელითა ბრძოლის ისტორია იტყვის, რომ «ჩეკაში» გაბაწრულ ვალიკოს ჯალათებმა მხეცურად სცემეს, აწვალეს, რომლის პირიდან გამუდმებით ყვირილი ისმოდა: «გაუმარჯოს საქართველოს». მან საფლავში ჩაიტანა ის ზნეობრივი წამება, რომელიც მას წილად ხვდა აგვისტოს ტრალედიის გამო.— მით განსაკუთრებული სიმძაფრით აღინიშნება მისი ჯოჯოხეთური წამება.

ყველა ჭეშმარიტი პატრიოტი უსათუოდ დიდებით მოიხსენიებს ამ გმირის—სამშობლოსთვის წამებით დაღუპულის ხსოვნას.

პ. ს.

### 3. ინჟინრების და მ. წიგნიანების დაპატივება.

ამა წლის 15 თებერვალს ქ. მიუნხენში უბედურ შემთხვევამ იმსხვერპლა საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს წევრი, თავდადებული მუშაკი და მებრძოლი ამხ. ე. ინჟინრევი. მისი უცაბედი დაკარგვა ელვის სისწრაფით მოედო მთელს ემიგრაციას, ყველა წრეებში მან გამოიწვია ღრმა მწუხარება და გლოვაში ჩააგდო რადიო «განთავისუფლება»-ს თანამშრომლები, სადაც ვალიკომ დაიმსხმხურა დაუღალავ და მუყაით თანამშრომლის სახელი.

ადგილობრივ ამხანაგების თაოსნობით მიუნხენში მოწყობილ პანაშვიდზე დაესწრო მრავალი საზოგადოება, სიტყვები წარმოსთქვეს ადგილობრივ ორგანიზაციების და აგრეთვე ამერიკულ კომიტეტის წარმომადგენლებმა.

პარიზის მეგობრების თხოვნით ჩვენი უბედურ ამხანაგის ცხედარი გადმოსვენებულ იქნა საფრანგეთში—სოფ. ლევილის «შატო»-ში 21 თებერვალს.

22-ს შატოს დარბაზში, სადაც ცხედარი იყო დასვენებული, თავი მოიყარა მრავალ-რიცხოვან საზოგადოებამ. მამა ილიამ გადაიხადა პანაშვიდი. კუბოს ამკობდა გვირგვინები, რომლებიც მიუძღვნეს—სოც.-დემ. პარტიის ორგანიზაციებიდან, სოც.-ფედერალისტებიდან, ეროვ.-დემ. პარტიიდან; პარიზის სათვისტომოდან, სოშოს სოც.-დემოკ. ორგანიზაციიდან, სოშოს ქარ. სათვისტომოდან, მიუნხენიდან; სოც.-დემ. ორგანიზაციიდან, სოციალ-ფედერალისტებიდან, გერმანიის სოც.-დემოკრატებიდან და რადიო «განთავისუფლება»-დან.

სასაფლაოზე დამსწრე საზოგადოებას დახვდა მეორე ცხედარი ჩვენი ძვირფასი ამხ. გერმანე წიგნიანაძისი,—რომელიც გარდაიცვალა პარიზის საავადმყოფოში 18 თებერვალს.

ორი ცხედარი—ორი მსხვერპლი ძალადობის, რომელთა კუბოთ თვალცრემლიანი საზოგადოება დაჰყურებდა. სამგლოვიარო თავშეყრა გახსნა ეროვნულ საბჭოს აღმ. კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ცინცაძემ და პირველი სიტყვა მისცა

რ. არსენიძეს. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე თ. ანთაძემ, პ. სარჯველაძემ, ვ. ტულუშმა, პრ. ინწკირველმა, ნ. ცინცაძემ. ამერიკული გამოცემა მიუნხენში («ჩვენი საერთო საქმე» № 4) მხურვალე და მგრძობიერი სიტყვები უძღვნა ჩვენ დაღუპულს ამხანაგს.

საზღვარ-გარეთელ ბიურომ მიიღო თანაგრძობის წერილი—სოც.-ფედ. პარტ. ორგანიზაციებიდან, ამხ. აკაკი ჩხენკელისაგან, ანტ. ყორქოლიანისგან, სანდრო კორძაიასგან, სოშოს სოც.-დემ. ორგანიზაციისაგან.

ნოე ცინცაძემ მიიღო წერილები: უკრაინის სოციალისტებიდან, დაშნაკუტ. პარტიიდან და აზერბაიჯანელებიდან.

მივიღეთ აგრეთვე დეპეშები: მიუნხენის რადიოს ქართული რედაქციისაგან, სოშოდან ალ. შათირიშვილისაგან, აბონდანის მოხუცთა თავშესაფარში მცხოვრებ ქართველებისაგან.

გერმანე წიგნივადეს კუბოს ამკობდა გვირგვინები: სოც.-დემ. პარტიის ორგანიზაციებიდან, პარიზის ქართულ სათვისტომოდან, სოშოს ქართულ სათვისტომოდან და თავის შვილობილ ალექსანდრესაგან.

### ვალეკოს ხსოვნას.

დაუნდობელმა ბედისწერამ გადასურა ახალ თაობის ერთი სასიცოცხლო ძარღვი, ჩაიფერულა გული ყრმობიდან თავისუფლებისთვის ბრძოლის ცეცხლით დანთებული. გაგვიქრა ერთი იმედი ჩვენს რიგებს რომ ამშვენებდა. აღარ გვყავს ბუნებისგან ნიჰით დაჯილდოებული რწმენითა და იდეით შეიარაღებული... მეტყველი და გონება გახსნილი განუწყვეტლობრივად ალზრდილი.

ვალეკო ეკუთვნოდა ახალგაზრდათა იმ მოწინავე რაზმს, რომელიც ნორჩ სახელმწიფოს დასაცავად წიგნს იარაღზე სცვლიდა. მეცნიერების კარებიდან ფრონტზე მირბოდა, გაუტეხელი ნებისყოფით ბრძოლის ცეცხლში ეშვებოდა. მათ არ უნახავთ მოსვენება. მათ არ უგემიათ დაწყნარებული ცხოვრება, ოჯახური სითბო, თავისუფლება საკუთარ სამშობლოსი, მათ მიიღეს ვითარცა სარწმუნოება, ჩაიხუტეს გულში. მათი დაცვისთვის სამსახური გაიხადეს უწმინდეს მოვალეობად...

დაეცა საქართველო შემოსეულ მტერთან ბრძოლაში, ვალეკოს ალტკინებული ახალგაზრდული სიტყვა უნივერსიტეტის კედლებში, — იყო სიტყვა გაბედული, — საქართველს განცდის პირველ დღეებში, როცა აზრი. გონება ველარ ერეოდა მოზღვავებულ წყრომას, აღშფოთებას და ნაღველს... მოწოდება უსაზღვრო თავდადების სამშობლოს დახსნისთვის, — შეუპოვარი ბრძოლის გამოცხადება. ამ დღიდან ვალეკომ არ იცის რა არის მოსვენება. ის ხედავს მის გარშემო ქართველთა ტანჯვა-წვალებას, ასობით დატვირთულ მანქანებს

საბურთალოსკენ ღამით მიმავალს ლაჩრულათ განგმირულ მამულიშვილთ. საქართველოს საუკეთესო შვილების ციმბირში გადაყრას, საყინულე-საკანში გაშიშვლებულთა წამება-ტანჯვას, ლანძღვა-გინებას-დამცირებას დაკითხვის დროს, ვახურებულ რკინით სხეულის დაშავებას; თვით ვალიკოს აგდებენ სარდაფში. სცემეს, აწვალეს, კბილები ჩაუმტერიეს, მაგრამ მისი სულის სიმტკიცე ვერ შეარყიეს, მისი ფოლადისებური გულის სიმაგრე ვერ მოდრიკეს. მასში უფრო გაკაყა და სურვილი გამკლავების, მასში უფრო აღენთო ცეცხლი მშობლიურის ქვეყნის სიყვარულისა და ბრძოლა მისი განთავისუფლების. ის მთელი თავის არსებით გადაეწვა აგვისტოს აჯანყების სამზადისში და გახდა მღელვარე ახალგაზრდობის ერთი ხელმძღვანელთაგანი.

აჯანყების ცეცხლი გურიაში რუსის ჯარისკაცებმა ჩააქვრეს. საწყალ ვალიკოს დედას წინ ედგა ვაჟის ცხედარი და ცრემლის ღვრით ყველას ეკითხებოდა: «მითხარით ვალიკოს ხომ არაფერი მოუვიდაო». ვანადგურდა ოჯახი. საწყალ დედას მოშორდა თავის ვალიკოც. რომელიც თავს ინუგეშებდა: «დახოცილებს აღარ ვსტირიო—თუ ვალიკო სამშვიდობოზე გავიდა»-ო. მაგრამ შვილების დაკარგვამ, საყვარელ ვალიკოს დაშორებამ საწყალ დედას, რომ მეტყველების უნარი დაუკარგა. ვალიკო უცხოეთში გაიგო მისი სამუდამოთ განშორება. ასე დაინგრა ოჯახი გურიის ერთ სოფელში, —მსხვერპლი უსამართლოების და ძალადობის.

ვალიკო დაბლებული დარჩა უცხოეთში. —თავის რწმენის და საერთო საქმის ერთგული. სამშობლოდან გამოყოლილი ნებისყოფა მის გულში არ შესუსტებულა, იმედი საქართველოს აღდგენის მის გულში არ ჩამქრალა. მას არ დაუკარგავს დრო—ცოდნა არ გაეფართობია. —შეიარაღებულიყო. თანდათანობით გამოჩნდა მასში ფართე განათლების ადამიანი, აღმოაჩნდა თვისებები, საზოგადო სამსახურისთვის მიუცილებელი. თითუღ მის ნაწერში მოსჩანდა ღრმა ცოდნა საქმის, თითუღ მის ნაბიჯში ჩაფიქრებული გაზომვა. უკანასკნელად მისი თითუღი გადაცემა სამშობლოსკენ გადასროლილი ჩვენს რიგებს ამხნევებდა. მტრის ბანაკში ისარივით იჭრებოდა; რამდენ იმედებს ვამყარებდით მანზე, მაგრამ უბედობამ გამოგვტაცა ხელიდან, მაშინ როცა ყველაზე უფრო მეტად ესაჭიროებოდა ქართულ საქმეს. მან დააობლა მებრძოლ სოც.-დემ. პარტიის რიგები. უსახლვროთ დაუსერა გული იმ თავის მეგობრებს, რომლებიც განმათავისუფლებელ მოძრაობას კიდევ შერჩენ...

მაგრამ დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილი მტერი მრავალი მზაკვრული ხერხით ფიქრობს—ჩვენი ქვეყნის გულიდან აღმოფხვრას დამოუკიდებელ სახელმწიფოს ნიშნები, როცა ჩვენს ვალიკოს ოჯახის ნასახლ-კარზე უცხოელები ბინადრობენ, რათა საქართველოს ახალგაზრდობა გაითქვიფოს

რუსის მასსებში, ამავე დროს თბილისის ქუჩებში ისმის მრისხანე შეძახილები საქართველოს უფლებების აღსადგენათ.

ამ დროს რომელი ჩვენთაგანი არ დარჩება ერთგული ჩვენი ახალი თაობის ერთ საუკეთესო წარმომადგენლის ცხედრის წინაშე.—სთქვას ერთხელ კიდევ აღსარება,—რომ ჩვენ დავრჩებით ერთგული ჩვენი ქვეყნის სამსახურში—ვალიკოს მიერ გაწეულ შრომის გასაგრძელებლად, რომელიც ლამპარი იქნება, მაგალითი შეუპოვარი ბრძოლის, უდრეკი მხნეობის და უსასღერო თავდადების.



ვალიკო წავიდა ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი, შეუერთდა მის გვერდზე მყოფ თავდადებულ მამულიშვილთ. თითოეული ქართველი დახედავს მათ საფლავს, წინ წარმოუდგება რუსეთის მივარდნილი კუთხეების ველები, ქართველთა ძვლებით მოკეწვილი, «ჩეკა»-ს სარდაფებში წამებით განგმირულთა სიხლის ღვარი, ქართველ დედათა დანთხეული ცრემლთა გუბე. მათი დამტყნარი სახეები—დიადი საქმისთვის შეწირულნი.

წარმტაცი ტანჯვებით აღვსილი, მაგრამ მუდამ გამარჯვების შარავანდედით მოსილი... ჩვენი ძვირფასი ვალიკოს განვლილი ცხოვრება დაუდგრომელი, მოძრავი,—ეკლიან გზებზე წვალებით მავალი მშვენიერებითაა სავსე, რადგან იგი უმაღლეს იდეალისთვის შეწირულია, სამშობლოს საკუთხეველზე მიტანილი მსხვერპლია... ბრწყინვალე მაგალითი დარჩენილ მებრძოლთათვის, რომლებიც ხატივით ჩაიხუტებენ გულში ვალიკოს წარუშლელ ხსოვნას. ა. ხარჯველიძე.



### გ. გ. გოგოლაშვილი.

სოციალ-დემოკ. პარტიამ დაკარგა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ერთი საუკეთესო დამცველთაგანი გერმანემ—გურიის მნიშვნელოვან ქალაქის ადმინისტრაციულ პოსტზე—თავის გამჭურიახი გონებით, კეთილშობლიური გულით და მცხოვრებთა მიმართ მზრუნველობით დაიმსახურა ყველას პატივისცემა.

თავდაბალი და უბრალო, დარბაისელი და გულკეთილი, გულშემატკივარი და დამხარე—იგი დასტრიალებდა თავს სოფლის დუხჭირ ცხოვრებას. საქართველოს შავ-დღეებში, როცა მან თავისუფლება დაჰკარგა, გერმანემ თავის მშობლიურ კუთხეს, ხონს შეაფარა თავი. მცხოვრებთა მოთხოვნით იგი დანიშნულ იქნა ხონის კომისრად. პირველ დღეებში ხალხის შიშით შეპყრობილებმა საოკუპაციო ხელისუფლების ადგილობრივმა აგენტებმა უარის თქმა ვერ გაბედეს. გერმანემ შესძლო ამ თანამდებობის შენარჩუნება, სანამ აგვისტოში ხალხის ბოლშემ არ იფეთქა, რამაც მის პატრიოტულ მოვალეობას ფრთა შეასხა, თავის ხელქვეით მყოფი შეიარაღებული რაზმი ერის განმანთავისუფლებელ ფრონტზე დააყენა. ადგილობრივ ხელისუფლებასთან ცხარე შეტაკების შემდეგ,

დამარცხებული გერმანე იხიზნება უცხოეთში, სადაც პატიოსანი შრომით თავის შვილობილთან ერთად უზრუნველყო თავის არსებობა. მისი არსება შეპყრობილი იყო საქართველოს მიწა-წყლის სიყვარულით, მის მომავალ განთავისუფლებით, განუკურნებელ სენმა უცხო მიწაში ჩაიტანა ეს სიყვარული.

გერმანეს კეთილშობილი სახე და მისი თავდადებული, უნგარო სამსახური სამშობლოს წინაშე სამაგალითოთ წარუძღვება წინ დარჩენილ მეგობრებს.

ა. ს.

## კოტე იმნაძე.

ინგლისის მივარდნილ პროვინციაში («ღონ შატენხამ») ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი პარტიის ერთი გამოჩენილი და ერთგული მუშაკი—კოტე იმნაძე. ახალგაზღობიდანვე კოტე ჩაება განმათავისუფლებელ მოძრაობაში და თავის აქტიურ მუშაობით დაიმსახურა ყველას ყურადღება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ის გახდა ერთი საუკეთესო ორგანიზატორთაგანი იმ დამცველი რაზმების შედგენაში, რომლებმაც გადაწყვეტილი ითამაშეს პირველ დღეებში, როცა ყოველ მხრიდან ნორჩ რესპუბლიკას ემუქრებოდნენ ფრონტიდან დაბრუნებული რუსის ჯარები. ახალგაზრდა ოფიცერი, ის გახდა მეთაური პირველ დამცველ მებრძოლ რაზმის, რომელიც შექნილი იყო უშუალოდ ვალიკო ჯუღელის მიერ. ერთი ადგილიდან მეორეზე—დღისით და ღამით მას მოსვენება არ ჰქონდა. —არ შორდებოდა დასაცავ პუნქტებს. 1918 წ. სოც.-დემოკ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით მან გურიაში შეადგინა საგანგებო რაზმი და ჩაიყვანა თბილისში, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა დედა-ქალაქის დაცვაში. მიიღო მონაწილეობა ცნობილ ნატანების ბრძოლებში, ლანჩხუთის ს.-დ. ორ—ციის დადგენილებით იგი არჩეულ იქნა ქალაქის ხმოსნათ. ს.-დ. პ. ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებით ის შემდეგში დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის ნ. ეორდანიას ადიუტანტად, დაიმსახურა უკანასკნელის ყურადღება და თვითონაც ბლომადე დარჩა მისი ერთგული და მუყაითი თანამშრომელი. დაპყრობის მეორე დღესვე იგი ჩაღვა არალეგალურ ორ—ციის განკარგულებაში და ასრულებდა ფრიად მძიმე და მისი არსებობისთვის სახიფათო დავალებებს. იმოგზაურა რუსეთში ორჯერ, უკანასკნელად დაიპირეს, მან მოიგონა სიგიჟე და გაანთავისუფლეს. მისი შენახვა შეუძლებელი შეიქნა, მას ფეხდაფეხ დასდევდნენ «ჩეკა»-ს აგენტები. იმულებული გახდა უცხოეთს შეიხიზნებოდა. პოლონეთში მან გა-

აჩალა პოლიტიკური მუშაობა. იყო რწმუნებული ეროვნული მთავრობის და ადგილობრივ სათვისტომოს თავმჯდომარეთათეული წლის განმავლობაში. საქართველოს შესძინა—საუკეთესო მეგობრები: გაათკეცებული ენერჯით ეწეოდა პროპაგანდას ქართული საკითხის სასარგებლოთ.



პოლონეთის ჯარში იგი ირიცხებოდა მაიორის ხარისხით. პოლონეთის დაცემის შემდეგ დასახლდა ინგლისის პროვინციაში თავის ოჯახობით. არც ერთ წუთს კოტეს არ გაუწყვეტია კავშირი ჩვენს საქმიანობასთან, იყო მუდმივ კონტაქტში პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროსთან, და ხშირად თავის აზრების გამოთქმით ეხმარებოდა მას მუშაობაში.

თავის ძვირფას მეუღლის ტრადიკულად დაღუპვამ ძლიერ დასერა მისი გული, მისი სულიერი სიმტკიცე ვერ შეარყია—სიკვდილის უკანასკნელ დღემდე იგი დარჩა ერთგული ქართული საქმის, თავის პარტიის—მათი სიყვარული უცხოეთის საფლავში თან ჩაიტანა.

კოტე დასაფლავებულ იქნა გასული წლის 31 დეკემბერს «ნორტელხანი»-ს სასაფლაოზე (ინგლისის პროვინცია). პოლონელ მეგობრებმა მას დიდი პატივი სცეს და ღირსეულად

დასაფლავებს. იყო გვირგვინი პოლონელებიდან და ინგლისელებიდან. ლონდონის სათვისტომოდან და ქართველ მხედრებიდან. დასაფლავებას დაესწრო ლონდონის ქართველობიდან ბ-ნი გ. ჩოპაძე, ხოლო პარიზიდან მისი ახლო ნათესავი ი. სარჯველაძე. უკანასკნელმა ს. დ. საზღვარგარ. ბიუროს და პარიზის ორგანიზაციების თხოვნით და მათი სახელით მიუძღვნა გვირგვინი.

მეზღველი.

### ჰვირვან მემორიის ხსოვნას.

ამ წლის 22 თებერვალს, პარიზის ქართულ სათვისტომომ, სოფელ ლევილის სასაფლაოზე, უცხოეთის მიწას მიაბარა კიდევ ერთი საუკეთესო ქართველი მებრძოლი, ვალიკო ინჭკირველი.

ვალიკო ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჯანით აღსავსე კაცი იყო, ნიჭიერი, მუყაითი. ლტოლვილობაში მან შესძლო საკუთარი შრომით შეენახა თავი, შეესწავლა ევროპიული ენები, შეეძინა საფუძვლიანი პოლიტიკური განათლება და თანაც მიეღო აქტიური მონაწილეობა ყველა ქართულ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში.

კარგი ორატორი და მწერალი, თავმდაბალი. მისთვის უცხო იყო აკვირებული აზრები: საერთო საქმეში პირადი ანგარიშების შეტანა. ლოიალობა და პირდაპირობა იყო მისი ბუნება. ამისთვისაა რომ განუსაზღვრელ პატივცემას იმსახურებს ის ქართველ ლტოლვილთა შორის.

ვალიკო ეკუთვნოდა იმ თაობას, რომელიც რუს დამპყრობლებს მოსწავლის ასაკში შეხვდა, მაგრამ წითელ ოკუპანტებს სასტიკი ბრძოლა გაუმართა. ამ ბრძოლაში მონაწილე ის და ერთი ხელმძღვანელიც გახდა.

1921 წლის თებერვალში, როდესაც თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკას წითელი ურდოები შემოესია, ვალიკოს ოჯახიდან ოთხი ძმა გავიდა ბრძოლაში, მათ შორის ვალიკოც, სულ ახალგაზრდა. უფროსი ძმა დედაქალაქის კარებთან დაეცა უთანასწორო ბრძოლაში, ხოლო ბრძოლიდან დაბრუნებული და დამარცხებული სამი ძმა მყისვე ჩაება საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1924 წელი. აგვისტო. ეროვნული აჯანყება: ბრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის და თავისუფლების აღსადგენათ.

იარაღით ხელში, სამივე ძმები კვლავ გადიან ბრძოლის ველზე. ეხლა, ორი ძმა შეეწირა სამშობლოს. დედას ოთხი შვილიდან ერთიღა შერჩა—უცროსი ვალიკო.

გატანჯული, წამებული დედა ემუდარება მას უცხოეთ-

ში გაიხიზნოს, დედის გული დაამშვიდოს—ჩეკა მძვინვარებს. ვალიკო სამშობლოში რჩება, ბრძოლას აგრძელებს.

ერთი წლის შემდეგ, დედის შეუწყვეტელ თხოვნას ემორჩილება. იხიზნება უცხოეთში. აქაც ბრძოლას აგრძელებს, ხანგრძლივ ბრძოლას. და ამ ეროვნულ ბრძოლაში მას ხელიდან გვაცლის უბედური შემთხვევა, უანგარო მამულიშვილს, ღირსეულ ერთგულ თანამებრძოლს.

ღრმა მწუხარებით დავსტირით მას, ჩემი პოლიტიკური მეგობრები და მე, დავსტირით ვალიკოს—უბადლო მეგობარს და ძვირფასს ადამიანს.

ფ. მარაძე.

### ვალოდია დოლიძე.

გასული წლის 25 დეკემბერს, ქ. სტრასბურგში, სადაც საექიმოდ იყო წასული, გარდაიცვალა ჩვენი საუკეთესო ამხ. ვალ. დოლიძე.

გურიაში მომუშავე ჩვენი პარტიის რიგებში ვალოდია მ პარტიაში შესვლისთანავე დაიმსახურა ღრმა ნდობა და ყველას სიყვარული. მისი თავდადებული მუშაობა განსაკუთრებით გაიშალა ოკუპაციის დროს, როცა ვალოდია მ მიიღო არა ერთი განსაკუთრებული დავალება, ხშირად საბედისწერო მისი არსებობისათვის: თითოეულ დავალებას იგი ღებულა უდიდესი ხალისით, რწმენით და თავდადებით. საკმარისია გავიხსენოთ, მის მიერ 1922 წელს გურიის კომიტეტის მიერ მიღებული დავალება საოკუპაციო ხელისუფლების აგენტურის მუშაობის შესახებ. მისი მოხერხებული, წინდახედული შრომით—მცირე ხანში ჩვენ ვიცოდით ზოგიერთი მზაკვრული განხრახვები, რომლითაც ადგილობრივი ხელისუფლება უმზადებდა მცხოვრებთ, —თავის დროზე ჩვენს მიერ მიღებულ იქნა ზომები და მრავალ ხიფათს, ტანჯვა-წვალებას ასცდენ მომქმედი ძალები და უდანაშაულო ოჯახები.

მახსოვს, როცა დამიჭირეს და 7 საათის განმავლობაში გამოძიებელი მორაზოვი ბერიას დავალებით დაკითხვას აწარმოებდა—სულ იმის ცდაში, რომ ჩემგან მიეღო ცნობა ვალოდის შესახებ. მას გამუდმებით ეძებდენ. დაუსხლტი თუ არა მათ—ჩავედი გურიაში. ვალოდია გადაყვანილ იქნა საიმედო ადგილას.

აქედან მან დაიწყო აჯანყების მზადებაში მონაწილეობის მიღება. თავგამოდებით, დაუხარებლად იგი ერთი ადგილიდან-მეორეზე დარბოდა და ამზადებდა მებრძოლ რაზმებს. მან არ იცოდა რა იყო დაღლა, რა იყო დაბრკოლება, გაჭირვება. როცა რუსის ჯარები ოზურგეთში ჩამოვიდა, მათ დაუშინეს ყუმბარები სოფელ შემოქმედს: ყუმბარის ხმაზე ვალოდის დედას გული გაუსკდა და გარდაიცვალა. ბანჯი უკვე

განთავისუფლებული იყო, და აი ამ თავისუფალ ატმოსფეროში მთელი საზოგადოების თანდასწრებით მოხდა მისი დედის დასაფლავება. დაუვიწყარი დარჩა ვალოდიასთვის და მთელი მისი მეგობრებისთვის ეს წუთები.

აჯაყების და მარცხების შემდეგ ვალოდია და მისი ძმა გიორგი შემოვიბნენ უცხოეთს. ვალოდია, როგორც იქ, ისე აქ იპყრობდა ყველას ყურადღებას. მას ახასიათებდა დიდი მეგობრული გრძნობა, ამხანაგის დახმარების მუდმივი სურვილი და ხელის გაწოდება.

თავაზიანი და გულკეთილი, ყოველგან ის ქადაგებდა ქართველთა ერთობას. სოშოს სათვისტომოში მან დასტოვა წარუშლელი სახელი, თავისი ენერგიული მუშაობით და საქმის სიყვარულით.

ამხანაგებმა ის გადმოასვენეს და დაასაფლავეს მონბელიარის ძმთა სასაფლაოზე—მისი ძმის გიორგის გვერდით.

კუბოს ამკობდა პარიზის და სოშოს სოც.-დემ. პარტიის ორგანიზაციებიდან—გვირგვინები.

წარმოითქვა სიტყვები სოშოს სათვისტომოდან, ს.-დემ. ორგ.—დან, აგრეთვე ფრანგ სოციალისტებიდან.

ვალოდიას ხსოვნა დარჩება დაუვიწყარი მის ამხანაგებს შორის.

ილ. ხალუქვაძე.

#### ნ. ყვარძიანის გარდაცვალების 5 წლის თავზე.

კვირას ამა წლის 12 იანვარს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას სასაფლაოზე სოც.-დემოკ. პარტიის საზ. ბიუროს თაოსნობით გადახდილ იქნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრო ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მამა ილიამ გადაიხადა პანაშვიდი. გალობდა გუნდი. პანაშვიდის შემდეგ ქ-ნ ინამ დამსწრენი მიიპატიჟა ნოეს სამუშაო ოთახში,—სადაც გაშლილი იყო სუფრა. სუფრას ამშვენებდა ნოეს დიდი სურათი. წარმოთქმულ იქნა სიტყვები, სადაც ორატორებმა მოიგონეს პრეზიდენტის დიდი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე.

#### ამს. ხ. ჯორძიას მღვსენებები.

გერმანიის ქალაქებში ადგილობრივ გერმანიის სოც.-დემოკ. პარტიის თაოსნობით მოწვეულ მიტინგებზე ამს. სან. კორძიაშვილმა გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: «ბოლშევიკების იმპერიალისტური და კოლონიალური პოლიტიკა». მოხსენებები ყველგან კარგად ჩატარდა.

ვიქტორ ნოზაძის მშობლები.

რედაქციამ მიიღო ვ. ნოზაძის ორი შრომა «ვეფხისტყაოსანის მზის მეტყველება» და «ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება».

როგორც გადმოგვცემენ მის პირველ წიგნს უდიდესი ინტერესი გამოუწვევია რუსთაველის უკვდავ ნაწარმოებთა მკვლევართა წრეებში და მათ მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიაში იტალიური ენაზე, როგორც შესაფერისი მეცნიერული შრომა. ახლად გამოცემული ორი შრომაც უსათუოდ საპატიო ადგილს დაიჭერს. მისი დაფასება ეკუთვნის სპეციალისტებს. აქ მხოლოდ ჩვენ კმაყოფილებით ვიხსენიებთ ვიქტ. ნოზაძის დაუღალავ მოღვაწეობას.

### პარტიული ცხოვრება.

საქ. ს.-დემ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიურომ იქონია მსჯელობა ბ-ნ რ. გაბაშვილის რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნის შესახებ, სადაც ბ-ნი გაბაშვილი ცდილობს ჩვენი პარტიის წარსულის გაბახებას, უდიერად და შეუფერებლად იხსენიებს ჩვენი პარტიის და ერის საამაყო მოღვაწეებს,—ადგენს:გაეცეს პასუხი ბ-ნ გაბაშვილს და ეცნობოს ეროვ.-დემ. პარტიის ხელმძღვანელობას გვაცნობოს, იზიარებს თუ არა იგი ბ-ნ გაბაშვილის წიგნში გამოთქმულ აზრებს.

თანახმად პარტიულ კონფერენციის დადგენილებიდან, ბიურომ აირჩია საგანგებო კომისია, რომელსაც მიენდო ზრუნვა ქართულ ეროვნულ ფორმის შესაქმნელად.

გერმანიაში მცხოვრებნი ამხ—ბი უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ საუკეთესო მებრძოლის ამხ. კოტე იმნაძის გარდაცვალების გამო.

### მადლობის გამოცხადება.

უღრმეს მადლობას უძღვნი ორგანიზაციებს და მეგობრებს, რომლებმაც პატივი სცეს ჩემს ძვირფას მამობილის გერმანე წიფწივადის ხსოვნას.

შვილობილი ალექსანდრე.

### «ჩვენი ღრობა»-ს შონდი.

რედაქციამ მიიღო: ამერიიდან 3 დოლარი.

დ. მუჯირისაგან სამი ათასი ფრანკი.

---

ღული და დახანტედი მახალეზი უნდა გამოვიგზავნო  
შემდეგი მისამართით:

P. Sardjveladzé.

35, rue de l'Aude 35. Paris (14)